

ისტორიული მოვლენა თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში

აი, ასეთი მზამს თანადგომა!



სტატიის წერისას თან მდებდა პოეტ იოსებ ხინჭუგიას სტატი: „ჩვენ რუსთაველის შუქი გემოსავს, მისი სიბრძნე გვზრდის და გვზრდიდა – ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად!“ ოდითგანვე ეს შეგონება ცხოვრების წესად აქცია ქართველმა ერმა.

დღეს, როცა ასე გაუსაძლისად გაუჭირდათ უკრაინელ ძმებს, უყოყმანოდ გაუნოდა დახმარების ხელი. ჰუმანიტარული დახმარება თუ მორალურ-გამამხნეველები თანადგომა ცალკე საუბრის თემაა. ახლახან, 12 აპრილს მთავრობის, პირადად პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით ომის ქარ-ცეცხლისგან თავდასხნის დღეებითათვის უკრაინულენოვანი სექტორი გაიხსნა მიხეილ გრუშევსკის სახელობის 41-ე საჯარო სკოლის ბაზაზე, სექტორის კურატორია ოლენ კუხარევსკია.

41-ე სკოლას მინიჭებული აქვს დიდი განმანათლებლის, საზოგადო მოღვაწის, უკრაინელი მიხეილ გრუშევსკის სახელი. პროექტის პრაქტიკულად განხორციელების ვალდებულება თავზე აიღო საქართველოს განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, სკოლის გამოცდილმა, ერუდიტულმა დირექტორმა რევაზ ჯავახიშვილმა, მისმა მოადგილემ ნელი სულთანოვილი, მთელმა პედაგოგიკურმა დაფუძნების პრეზენტაციებზე დამფუძნებლებს მიესალმა განათლების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, მიულოცა უკრაინულენოვანი სექტორის გახსნა, მშვიდობიანობა და წარმატებები უსურვა. აი, შემოკლებული ვარიანტი მინისტრის გამოსვლიდან:

„ეს სექტორი 2011 წლამდე არსებობდა, მაგრამ უკრაინელი მოსწავლეების მიღვეადი კონტი-

ბი და პედაგოგები ყოველმხრივ მზრუნველობით არიან გარემოსილი, შეღავათიანი ინტერნეტ-პაკეტით ისარგებლებენ. მოსწავლეები შეისწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას, ასევე საგანს „ჩემი საქართველო“. დღევანელი მოზარდები გამარტივებული წესით ირიცხებიან. დღეის მონაცემებით თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა ასაკის 426 მოსწავლე უკვე ჩარიცხულს. მათ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას უწევენ.

განათლების სამინისტრომ 41-ე საჯარო სკოლაში დაუდალავი შრომის შედეგად ზუსტად 2 კვირაში დააბრუნა უკრაინულენოვანი სექტორი.



მოხარული ვარ, რომ საქართველოში უკრაინის საელჩოსთან მჭიდრო თანამშრომლობით შევარჩიეთ კვალიფიციური პედაგოგები, რომელთა შრომის ანაზღაურებას საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს.

ჩვენ უკრაინელ ხალხს მუდმივად ვუცხადებთ მხარდაჭერას, რაც კონკრეტული ნაბიჯებით გამოიხატება.

ძვირფასო მოსწავლეებო და პედაგოგებო, მჯერა, ამ თბილ და მზრუნველ გარემოში ახალ მეგო-

ბითი რწმუნებული ანდრი კასიანოვი ესწრებოდა, რომელმაც სიტყვით გამოსვლის დროს უკრაინელი ხალხის მხარდაჭერისთვის გულთბილი მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელს. კასიანოვის თქმით, ქართულმა მხარემ უმოკლეს დროში უზრუნველყო უკრაინულენოვანი სექტორის გახსნა, რაც უდიდესი მხარდაჭერის გამოხატულებაა.

სკოლა როგორც ქართული, ისე უკრაინულ სექტორზე ჩარიცხულ მოსწავლეებს უსაფრთხო და პოზიტიურ სასწავლო გარემოში შესთავაზებს საგანმანათლებ-

ლო, სადამზრდელო, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მომსახურებას. უკრაინელ მოსწავლეებს სკოლაში დახვდათ უკრაინული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საბავშვო და საყმაწვილო უკრაინული ლიტერატურით.

საქართველოში უკრაინის საელჩოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, შერჩეული არიან კვალიფიციური პედაგოგები ყველა საგნისათვის. მათ შორის არიან, როგორც უკრაინიდან ბოლო პე-

სასწავლო გეგმის საათობრივი დატვირთვის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკრაინულენოვანი სექტორში დასაქმებული მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების ხელშეწყობასაც უზრუნველყოფს.

მიხეილ გრუშევსკის სახელობის 41-ე საჯარო სკოლის უკრაინულენოვანი სექტორის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. მოსწავლეები ისწავლიან როგორც საჯარო სკოლაში, ისე ფაკულტატიურ საგნებს ფორმალური კურიკულუმის ფარგლებში. ასევე, დაიგეგმება აქტივობები აღმზრდელობითი და არაფორმალური განათლების მიმართულებით.

და აჰა, საოცარი ძალისხმევანთუზიზმით შეუდგნენ საქმეს 41-ე სკოლელები. შევეხმიანე სკოლის დირექტორს, ბატონ რეზო ჯავახიშვილს, რა ხდება-მეთქი. - იმდენი საზრუნავი ერთბაშად დახვდა, თავის მოსაფხანადაც აღარ გვცალიაო, - მიპასუხა ზუმრობით. ასეა ხოლმე - ყველა სიახლესთან შეჭიდება ადაპტირებამდე ურთულესი პროცესია. მინდა ყველა 41-ე სკოლელები გაგამხნეო სულხან-საბას სიტყვებით: „ლოდი რა ადგილზე დევს, მძიმე არს, დაიძვრის და შემსუბუქდების“.

ამ ურთულეს ომიან-ქარცეცხლიან ვითარებაში ორივე სიტყვით ვიმმართავ ზოგიერთ დესტრუქტორს, რომელიც ცდილობს მთავრობის სასიკეთო ღონისძიებათა დაკნინებას: თუ კაცობა შეგრჩენიათ, მოეშვით რაღაც ცინიკურ განცხადებებს! „მაინც ის




გენტის მიზეზით ფუნქციონირება შეწყვიტა... დღეს ისტორიული დღეა, ისე აღსდგა სექტორი. აქ პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით უკრაინულ ენაზე წარმართება სასწავლო პროცესი. საწყის ეტაპზე კი სწავლის მსურველი 130 მოსწავლეა და ყოველდღიურად მზარდია. სექტორის მოსწავლეე-

ბრებს შეიძენთ და ერთად ასახელებთ უკრაინასა და საქართველოს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ისტორიულ დღეს და წარმატებებს გისურვებთ!”

უკრაინულენოვანი სექტორის გახსნის ღონისძიებას საქართველოში უკრაინის საქმეთა დროე-



როდში ჩამოსული, ისე ადგილობრივი უკრაინულენოვანი სპეციალისტები. მათ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი პირადად შეხვდა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ესაუბრა. აღნიშნული მასწავლებლებისთვის ანაზღაურებას საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ეროვნული

არის, რაც არის, ჭორები მოაშორეთა!“ „ნუ გეშინიათ, არ გავნებთ მთიდან ყვირილი ვაჟასი!”

უკრაინელებო, თქვენთან ერთად ქართველებიც ვნატრობთ: მალე დამდგარიყოს მშვიდობიანობა! გამხნევიყოს! გამაგრდით! თქვენს გვერდით ვართ. ძმავო, ძმითა ხარ ძლიერი. ხაი ჟივე უკრაინა!

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

პორის მიშველაძე,
საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი

14 აპრილი ფედაენის დღეა!



ბიორგი ლაონიკა დედა ენა

ნიგნი ჩვენი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ვარდნაბამი ფურცელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი, ჩვენს აკვანს შემომჯდარი მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავეში ჩვენს ყურთან რომ გაისმა, ყრმობა რომ გვისურნელა, როგორც ბალი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვიხარა ჩვენ ბავშვობა ბეჩავი - შავი კაბით გავრდილებს, გახუნებულ ლეჩავით.

ჩვენი ნიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ოქროსხმიან სიმებად გულში ამოხლართული.

ამ ნიგნიდან გაბრწყინდა ქართლის დიდი მთიები, პირველ ფურცელს გაშლიდა გამოხატულს იებით.

ის ამ ნიგნი უსმენდა ნაკადულს და ტოროლებს, საწყალ ხარის ტირილსა, ხმასევიდან ოროველს.

ხმას გაყინულ კაცისას, სიცივით რომ კვდებოდა, მზე საწყალი კაცისა გორას მიჰფარებოდა.

მას უყვარდა ეს ნიგნი, ჭრელი აბგის მშვენება, მოიგონებს და შუქი გულზე დაეშენება.

ვიგონებთ და გვახარებს, რომ აქვს გულში ჩართული, - ჩვენი ნიგნი ლამაზი, „დედა ენა“ ქართული!



პროფესიონალიზმია მათი წარმატების ბარანტი



ოქრო პატარაა, მაგრამ ათასჯერ მეტ უბრალო ლითონს აიწონის. ეს მეტაფორული გამოთქმა 49-ე საჯარო სკოლისთვის უპრიანია.

ამიერკავკასიის ვარების სარდლის, ლევანდოვსკის სასახლე მაშინ სასკოლო შენობად გადაკეთდა და იმ დროიდან იწყება მისი სასახლო ისტორია.

დღეს ხომ რთულზე რთული ვითარებაა, მაგრამ სკოლის გამოცდილ დირექტორ **ეკატერინე ცაავას**, მის მოადგილე **ლელა ჩაგურაშვილს** და ძლიერ პედაგოგებს ნუთითაც არ დაუთმიათ პოზიციები.

ამაზე ვაპირებდი საუბარს, მაგრამ სკოლიდან ისეთი სტატია მომივიდა, უცვლელად მას გათავაზობთ.

ახალ სასწავლო წლის დაწყებას სკოლა შეხვდა ორგანიზებულად. გაიარა შრომის ინსპექციის მიერ შემოწმება და მათ მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძ-

ველზე მიიღეს სასწავლო პროცესის დაწყების უფლება. სკოლაში მოსწავლეთა მოტივაციისა და სწავლა-სწავლების ხარისხიანად წარმართვის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ კლასის დამრიგებლებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარებიან არა მხოლოდ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევამ, არამედ ზრუნავენ მათ ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე, ურთიერთობის ხარისხზე, თანამშრომლობენ მშობლებთან ბავშვების საკეთილდღეოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ეპიდემიოლოგების რეკომენდაციის გათვალისწინებით, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სსიპ 49-ე საჯარო სკოლაში დაფიქსირებული კორონავირუსის (COVID-19) შემთხვევებისას ხორციელდება კანონით გათვალისწინებული წერტილოვანი შეზღუდვები. ასევე „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შესული ცვლილების თანახმად, **2020 წლის 16 სექტემბრიდან დღემდე, სკოლაში არსებული კოლექტიური ორგანოები (მათ შორის, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობების და სხვა) საქმიანობას ატარებენ დისტანციურად**, მაგრამ სკოლის პერსონალს, ეს არ უშლის ხელს განახორ-

ციელონ სხვადასხვა აქტივობები, პრევენციები ჯგუფებში და მოსწავლეები ჩართონ ურთიერთ თანამშრომლობით გარემოში.

მიუხედავად რთული გამოწვევებისა სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს შენარჩუნებულია პოზიტიური სასწავლო გარემო, თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებები სასწავლო პროცესის მონაწილეთა შორის და სკოლის ყველა რგოლი მაქსიმალურად ცდილობს აამაღლოს მოსწავლეებში სამოქალაქო თვითშეგნება, აუხსნას პერსონალური მონაცემების და მათი დაცვის მნიშვნელობა, დანერგოს კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას. სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას მოსწავლეთათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი ინტელექტუალური, სოციალური თუ ფიზიკური პოტენციალი. ამ საქმეში აქტიურადაა ჩართული საგნობრივი კათედრები: სახელმწიფო ენის კათედრა, რომელსაც სათავეში უდგას გამოცდილი პედაგოგი ქალბატონი **მზია ჩხაიძე**. ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს ენერგიული და მოტივირებული ნამყვანი პედაგოგი **ვიქტორია ვიტტმანნი**, რომელიც აქტიურადაა ჩართული სამოქალაქო განათლების სასკოლო კლუბის წარმატებულ საქმიანობაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წარმატებულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ქალბატონი **ნათია ცინცაძე**. მათემატიკის და ისტორიის კათედრის საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული სკოლის ნამყვანი



პედაგოგი **მარიცა ნატრიაშვილი**, უცხოური ენების კათედრის საქმიანობას ქალბატონი **თამარ ნაცვლიშვილი**. უნარიანად უძღვება. ასევე ურთიერთ თანამშრომლობით საქმიანობაზე დაფუძნებულ დაწყებითი საფეხურის კათედრის საქმიანობას **ელზა სარსოსიდი**. ეს-თეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას ნაყოფიერად ხელმძღვანელობს ხელოვნების პედაგოგი **ანა ბედიასვილი** და თავის გუნდთან ერთად ზრუნავს ონლაინ თუ სკოლის სივრცეში მოსწავლეთა გამოყენების მოწყობაზე.

სკოლა წარმატებით ვითარდება და მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაესწრონ უფრო კვალიფიკაციურ და საინტერესო კვალიფიკაციურ შედეგად კი შეძლონ სკოლიდან იმ ცოდნის ნაღება, რომელიც აუცილებელია 21-ე საუკუნის გამოწვევების საპასუხოდ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებლები არ წყვეტენ სხვადასხვა ტრენინგებზე და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე დასწრებას, ამგვარ შეხვედრებზე მიღებულ გამოცდილებას კი ერთმანეთს უზიარებენ და თავიანთ კოლეგებს აძლევენ შესაძლებლობებს, სხვა კუთხიდან შეაფასონ საკუთარი თავი და უკეთ დაინახონ მათი უსუსტი და ძლიერი მხარეები. სკოლის ადმინისტრაციას ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ მასწავლებლებმა შეძლონ

თვითგანვითარებაზე ზრუნვა და მიღწეული შედეგებისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენება.

დიას, მიუხედავად რთული გამოწვევებისა, ქალბატონი **ეკატერინე** თავის გუნდთან ერთად, მუხლჩაუხრელად იღწვის სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს, თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებების შესაქმნელად სასწავლო პროცესის მონაწილეთა შორის. სამომავლოდ სკოლა გულითადად ელოდება მომავალ პირველკლასელებს და მათ მშობლებს, რომ თბილი, მშვიდი და კეთილგანწყობილი გარემო დახვდებათ ნორჩ ალსაზრდელებს, ვინაიდან სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ალსაზრდელებს სასწავლო პროცესისთვის ორგანიზებული, კომფორტული და უსაფრთხო პირობების შეუქმნას და რასაც სკოლა დღემდე წარმატებით ართმევს თავს.

ელზა სარსოსიდი

P.S. რედაქციის მინანერი: გვეჯერა, ამ პრიორიტეტებს უფრო მაღალ ხარისხში აიყვანენ. გისურვებთ სასწავლო წლის მშვიდობიანად დამთავრებას. ახლის კი ბუნებრივ პირობებში დაწყებას ყოველგვარი პანდემიისა და შიშის გაერეშე, 40-ე სკოლებში!

პროფესიონალიზმი და მონღოვება

წარმატებები თვალსაჩინოა



ქლაქ თბილისის 191-ე საჯარო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად მიმდინარეობს; დაცულია კოვიდ-რეგულაციები, რაც ხელს უშლის ინფექციის შიდა გავრცელებას. რეგულაციების შესატყვისად, სკოლა სასწავლო პროცესს განახორციელებს ორ ცვლაში სრულად დასწრების რეჟიმით. მოსწავლეთა ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს სამინისტროს მიერ შეთავაზებული ონლაინ-სწავლებით.

სკოლას ჰყავს უფროსი, ნამყვანი, მაძიებელი მასწავლებლები. სასკოლო კულტურის ძირითადი მახასიათებელი ურთიერთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარებაა. სკოლის დირექცია (დირექტორი - ქალბატონი **თინათინ ბაქრაძე**, დირექტორის მოადგილე - **ლია გარსენიშვილი**) აქტიურად არის ჩართული სასწავლო, სასკოლო პროცესში; ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის.

მოქმედებს 7 კათედრა: დანყებითის კათედრას ხელმძღვანელობს **მაკა მუმლაძე**; ქართული ენისა და ლიტერატურისას - **ნანა**



მეცნიერებებისას - **ინგა ტაბაძაძე**; სპორტისა და ესთეტიკისას - **თამარ დავითაშვილი**.



სხვადასხვა პროექტი, სასკოლო საზოგადოება მათ პრევენციაციებითა და ვიდეორგოლებით გაეცნო.

მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ ეროვნულ და სხვა სახის ოლიმპიადებში.

XII კლასის მოსწავლეებმა **ნიკოლოზ ცომაიამ** და **ანამარია ხორგუანამ** წარმატებით დაძლიეს ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტური ბიოლოგიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

თვითმმართველობის ინიციატივით მოქმედებს სხვადასხვა სასკოლო კლუბი.

სკოლაში ირიცხება 14 სსმ მოსწავლე. მათთვის გარემო ადაპტირებულია და სასწავლო პროცესი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ პროექტებში.

მეორე სემესტრში განხორციელებული და დაგეგმილია სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება. მათგან აღსანიშნავია წიგნის



გაბოშვილი; მათემატიკისას - **ნინო გურული**; უცხო ენებისას - **მაია ზაკალაშვილი**; საზოგადოებრივი მეცნიერებებისას - **თამარ ზედელაშვილი**; საბუნებისმეტყველო

კათედრების მუშაობა კოორდინირებულია. ხორციელდება საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები.

სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელის პროექტში; სასწავლო წლის დასაწყისში შედგა საგნობრივი კურიკულუმები, რისი დაგეგვა-განხორციელებაც აქტიურად მიმდინარეობს. მოსწავლეები ყველა საგანში ასრულებენ კომპლექსურ დავალებებს. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში განხორციელდა ადამიანის უფლებების დაცვის სასკოლო პროექტი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს



ეკატერინე ხატიაშვილი



საერთო მიზანი მოსწავლეთა წარმატებას



სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის 23-ე საჯარო სკოლა საქართველოში რჩეულ და იშვიათ სკოლათა შორის ლიდერია მდიდარი ისტორიული წარსულით. პედაგოგმა **ლევ მოძალესკიმ** საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით დააარსა ქალთა მეორე პროგიმნაზია 1873 წლის 8 სექტემბერს. 1878 წელს კი პროგიმნაზია გიმნაზიად გარდაიქმნა. სასწავლებელი იძლეოდა უნიკალურ შესაძლებლობას დავახლოვებოდათ ცივილიზებულ სამყაროს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ პროგიმნაზიის პირველი დღეებიდანვე ისწავლებოდა ფრანგული, რუსული, გერმანული ენები. (ფრანგული ენის პირველი პედაგოგი გახლდათ **ა. მარშანი**). 1954 წელს კი, ვაჟთა და ქალთა სკოლების გაერთიანების შემდეგ, ფრანგული ენა დომინანტური გახდა.

გასული საუკუნის 60-80-იან წლებში სკოლამ მჭიდრო კავშირი დაამყარა საფრანგეთსა და ბელგიასთან. ტრადიციად იქცა, მასწავლებელთა სტაჟირება და მოსწავლეთა გაცვლითი საქმიანობა ამ ქვეყნებში.

2017 წლის 11 სექტემბერს სკოლას ოფიციალურად მიენიჭა ფრანგული ენის გაძლიერებული სწავლების სკოლის სტატუსი, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი სტრატეგია და პრიორიტეტული მიმართულებები. ამ 5 წლის მანძილზე სკოლამ აიღო პასუხისმგებლობა და აქტიურად ვენევიტ საქართველოში ფრანგული ენის პოპულარიზებას.

თუმცა, მსოფლიო პანდემიის გამო, ცხადია, ჩვენც შეგვეცვალა გეგმები და მოვახდინეთ აქტივობების მოდიფიცირება.

მე-2 სემესტრი აქტიურად დაიწყო. სკოლის ბაზაზე ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ვიზიტით ეწვია ქალბატონი **იმა ტორი**, ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის მრჩეველი ფრანგული ენისა და ენათა მრავალფეროვნების საკითხებში. ერთ-ერთი ოფიციალური შეხვედრა მან ჩვენთან გამართა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა სკოლებში ფრანგული ენის სწავლების ამჟამინდელ მდგომარეობის დადგენისა და პერსპექტივების გაზიარებას.

ქალბატონ **იმა ტორის**თან ერ-

თად, ჩვენი სკოლის საპატიო სტუმრები გახლდნენ საფრანგეთის ელჩი საქართველოში **დიეგო კოლასი**, ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი **პიერ კლუე**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები ქალბატონები: **ლია ბუჟანიშვილი** და **თამარ ჯაყელი**, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი **ნოდარ ნუცუბიძე**, საქართველოს ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი - **მაკა ბედიასვილი**, პარტნიორი სკოლები: სენტ-ეგვიჟიუერის, მარი ბროსეს, პრინც მიურატის სახელობის სკოლების, ფონდ მოლიერის პროგრამაში ჩართული საჯარო სკოლების დირექტორები და ფრანგული ენის მასწავლებლები. შეხვედრის დაწყებამდე მოსწავლეებმა განხორციელეს პროექტები და სკოლის სამომავლო გეგმები გააცნეს.

მეორე მნიშვნელოვანი ვიზიტი განახორციელა მუსიკა **ფილიპ ჟერარმა**, - ჟერსის უწყებრივი საბჭოს (დეპარტამენტული საბჭოს) გენერალური დირექტორის მოადგილე.

სტუმრობის მიზანი სამომავლო, საგანმანათლებლო პროექტის დაგეგმვა გახლდათ, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ევროპულ საბჭოს. პროექტის განხორციელება ევროპული საბჭოს მხარდაჭერით.

სტუმრებს უმასპინძლეს ჩვენმა მოსწავლეებმა, გააცნეს სკოლა, მისი ისტორია და ის მნიშ-

ვნელოვანი ნაბიჯები, რომელიც გადაიგდა ფრანგული ენის საფუძვლიანად შესასწავლად.

დაგეგმილი პროექტის განხორციელებაში მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეები ჩაერთვებიან. მათ მრავალი საინტერესო აქტივობის განხორციელება მოუწევთ.

წელს ასევე გაგმართეთ კონფერენცია, რომლის თემა გახლდათ „პანდემია და ახალი გამოწვევები ფრანგული ენის სწავლებისას“.

ფრანგული ენის პოპულარიზებისა და სწავლა/სწავლების ხელშეწყობის მიზნით, სკოლა ყოველწლიურად ატარებს რესპუბლიკური მასშტაბის სხვადასხვა ღონისძიებას, რომელსაც საქართველოში საფრანგეთის სალზო, ფრანგული ინსტიტუტის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და აქტიური ჩართულობით ვახორციელებთ. ამჯერად არამარტო საქართველოს ფრანგული ინსტიტუტთან, არამედ საქართველოს ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაციასთან ერთად გაგმართეთ ღონისძიება.

კონფერენციის მიზანი იყო COVID-19 პანდემიის დროს ფრანგული ენის სწავლებასთან დაკავშირებით მასწავლებლების მიერ შექმნილი გამოცდილებებისა და მიგნებების გაზიარება სხვადასხვა ფორმით. კონფერენცია მიეძღვნა ფრანგული ენის მასწავლებლის საერთაშორისო დღეს. ეს დღე აერთიანებს ფრანგული ენის პედაგოგებს მთელს მსოფლიოში. ღონისძიება

მოიცავდა პლენარულ სესიასა და თემატურ სამუშაო შეხვედრებს (Workshop), რომელსაც ფასილიტაციას უწევდნენ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 საჯარო სკოლის მასწავლებლები.

შექმნილი ვითარების გამო, კონფერენცია დისტანციურ რეჟიმში გაიმართა.

პანდემიური მდგომარეობის დასტაბილურებასთან ერთად, გააქტიურდა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა. ამ ეტაპზე იმართება სპორტული შეჯიბრებების ციკლი, რომელიც ორ ასაკობრივ კატეგორიაში - საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეებისთვის. თითოეულ თამაშს დიდი ვნებათაღელვა ახლავს.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა ორი საქველმოქმედო აქცია - მოხუცთა თავშესაფარის ბინადართა და უკრაინის დასახმარებლად.

წინ უამრავი გეგმა და მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის კი დღის წესრიგი უცვლელია, ყველა საერთო მიზანზე - მოსწავლეთა წარმატებაზე არის ორიენტირებული.

მაგდა ბარამიძე,
ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საჯარო სკოლის დირექტორი

გედნიერი გაზაფხული თქვენ!

სრულფასოვანი ჩართვა სასწავლო პროცესში



თბილისის 135-ე ბაგა-ბაღში (დირექტორი **თამილა ხარშილაძე**) სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. კოვიდ პანდემიის პირობებში სააღმზრდელო დაწესებულება მკაცრად იცავდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეგულაციებს და წარმატებით გაართვა თავი სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას. სასწავლო წლის პირველ ნახევარში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა, საშემოდგომო, საახალწლო ღონისძიებები, სადაც ქალაქის მერიამ პატარები საახალწლო ტკბილეულის ნაკრებით დაასაჩუქრა.

საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა და ჯანდაცვის სამინისტროს გადანაცვლებებით,

კოვიდ ინფექციის დადასტურების შემთხვევაში, მოხდება ჯგუფების ნერტილოვანი დახურვა, რაც აღარ შეაფერხებს განახლებულ სასწავლო პროცესს. ბაღში 12 სააღმზრდელო ჯგუფია, აქედან 3 - ბაგის და 9 - ბაღის. 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფები სასკოლო მზაობის პროგრამით, თამაშით სწავლების მეთოდით მუშაობენ, რაც ბავშვის სრულფასოვანი და მრავალმხრივი განვითარებისთვისაა საჭირო და სკოლისკენ 85 ალსაზრდელს გააცლილებენ. ნაყოფიერად დაინყო წლის მეორე ნახევარი.



ჩატარდა დედის დღისა და დედა ენისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, იგეგმება საგაზაფხულო, ასევე სკოლისაკენ გაცილების ღონისძიებები.

მერიისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელშეწყობით, მონესრიგდა ინფრასტრუქტურა, გარემონტდა ჯგუფები და ყველა სააღმზრდელო ჯგუფში - სველი ნერტილები. ეზოში არის სათამაშო მოედანი და სივრცე, რომელიც აღჭურვილია გასართობი ატრაქციონებით, დაგებულია ასფალტი. თბილ ამინდში, პატარები დიდ დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე.

ბაგა-ბაღში არის დიდი მუსიკის დარბაზი, სადაც პედაგოგები - **თამარ ტალახაძე** და **თამარ მორჩილაძე** მუსიკისმცოდნეობის

გაკვეთილებს ატარებენ. აქვე ტარდება სპორტული ღონისძიებებიც. მეთოდკაბინეტში არის ბიბლიოთეკა. ცალკე ფუნქციონირებს მულტიმედია ცენტრი, სადაც ფსიქოლოგი **ვიოლეტა მახარაძე**, ლოგოპედი **რუსუდან აბუსერიძე**, სპეც. პედაგოგები - **თამარ ბინკი-ნაშვილი** და **ეთერ მჭედლიძე**, მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით, გრძელვადიანი მიზნების დასახვასა და ამ მიზნების მიღწევის სტრატეგიის განსაზღვრაზე აქტიურად მუშაობენ.

საქართველოს მთავრობამ აღ-



რული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის რაციონის კვებითი ღირებულებების ნორმები დაამტკიცა. ბაგა-ბაღის მზარეულები მრავალფეროვანი და ჯანსაღი პროდუქტით მომზადებული უგემრიელესი კერძებით მასპინძლობენ პატარებს.

ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვასა და კოორდინაციაში აქტიურად არის ჩართული დირექტორის მოადგილე **ქეთევან ყოლბაია**; სასწავლო პროცესის წარმართვას ხელმძღვანელობენ მეთოდისტები — **მარინე ხუციშვილი** და **ირმა თაბაგარი**; ალსაზრდელების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ **ნანა არაბული** და **თამუნია ჯღარკავა**. ჯგუფებში მუშაობენ თავის საქმეზე შეყვარებული და გამოცდილი აღმზრდელები, აღმზრდელის თანამშენებელი. აღმინისტრაცია და თითოეული თანამშრომელი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ ფუნქციამოვალეობებს.

ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი სწორად არის მიმართული მისი განვი-

თარებისა და უსაფრთხო გარემოს შექმნისაკენ. უწყვეტად მიმდინარეობს პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, რაც დირექტორის **თამილა ხარშილაძის** დიდი დამსახურებაა.

ნათია გურბენიძე



აქ სირთლავს არ უზინდებიან



ცხადია, რომ ყველას არ აქვს თანაბარი ინტელექტუალური თუ გონებრივი შესაძლებლობები, ამიტომ არსებობს სპეციალური დაწესებულებები, სადაც მძიმე, ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებს ეხმარებიან და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, პანსიონურ მომსახურებას უწევენ. ასეთი ტიპის დაწესებულებაა თბილისის მე-200 საჯარო სკოლა, რომელიც გლდანში მდებარეობს. იგი წარმოადგენს რესურს-სკოლას მძიმე და ღრმა ინტელექტუალური ან მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს სკოლა აძლევს მათი შესაძლებლობის შესაბამის აკადემიურ

რისი გაკეთება შეძელი?
- თბილისის მე-200 საჯარო სკოლა არის რესურს სკოლა, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო და სადღეღამისო პანსიონურ მომსახურებას (როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონში მცხოვრები) მძიმე, ღრმა ან მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლამ იხელმძღვანელა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დისტანციური სწავლების პროცესის რეკომენდაციების მიხედვით. დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვის გამოუცდელი მიუხედავად, მასწავლებლები აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში, გაიარეს ტრენინგი „დისტანციური სწავლება „Microsoft“ რესურსების გამოყენებით. პანდემიის დაწყების პირველ ეტაპზე, აქტიურად მიმდინარეობდა მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ როგორ გამოეყენებინათ სოციალური პლატფორმა „Teams“ საგანმანათლებლო პროცესში ჩასართავად. თითოეული მოსწავლის, დის-

ყურადღების მოცულობის გაზრდა). იმ მოსწავლეებს, რომელთაც არ ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა, საშუალება, ფოსტით გადაეგზავნათ მასწავლებლების მიერ მომზადებული მრავალფეროვანი რესურსები ყველა საგანში.
- **საინტერესოა, როგორ მოეგზავნა სკოლა-პანსიონი დაწესებულებებისთვის, აქ გასათვალისწინებელია თქვენი კონტინგენტი სპეციფიკაცია... კონკრეტულად, რა სირთულეები შეიქმნა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით?**
- სკოლა-პანსიონში, Covid-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, სკოლაში მიმდინარეობს უსაფრთხოების წესების მკაცრი კონტროლი. სკოლისა და პანსიონის შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფა და პლაკატები, რომლებიც ემსახურება ცნობიერების ამაღლებას Covid-19-ის შესახებ და დამატებით ინფორმაციას გვანდინ პანდემიის პირობებში სამოქმედო გეგმის შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლის თანამშრომელთა 90 პროცენტი არის სრულად ვაქცინირებული. სადღეღამისო საშუალებები, ჩატარდა მოსწავლეთა სკოლაში გამოცხადებამდე, - ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, როგორც სკოლის, ასევე პანსიონის შენობაში. შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება სრულიად მობილიზებული შეხვდა დასწრებული სწავლების ეტაპს, ვინაიდან, ჩვენ აღჭურვილი ვიყავით ყველა საჭირო სადღეღამისო და ჰიგიენური საშუალებით (პირბადეები, უკონტაქტო თერმომეტრები, დეზობარიერები, დის-პანსურები, თხევადი საპონი და სადღეღამისო ხსნარები). სკოლის ტერიტორიაზე, ყოველდღიურად მიმდინარეობს შემოწმებულია შემოწმება, თერმოსკრინინგი, თვალსაზრისით პირბადის მოხმარებაზე. ასევე, კვირაში ერთხელ, სკოლის ყველა თანამშრომელს უტარდება ტესტირება. სასკოლო და სალამზრდელი შენობაში არის ცხელი წყალი და სხვა სადღეღამისო საშუალებები, რაც უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვას. საკლასო ოთახები, დერეფნები, სველი წერტილები სისტემატურად სუფთავდება სადღეღამისო საშუალებით.

დებიან წამყვანის სტატუსს და ასევე, წამყვანი მასწავლებლებიც, რომლებიც ელოდებიან მენტორის სტატუსს. სკოლა-პანსიონში აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან სამედიცინო მომსახურებით და ხუთჯერადი კვებით. სკოლის მოსწავლეებთან მუშაობს ფსიქოლოგი და ორი სპეც. პედაგოგი.
- **ქალბატონო მარინე, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, შემოქმედებითი კუთხით თუ გაქვთ დაგეგმილი, მაქვს სხვადასხვა აქტივობა, კლასგარეშე ღონისძიება, კონკურსი და ა.შ.?**
- ქვეყანაში შექმნილი ვითარების მიუხედავად, სკოლაში იგეგმება და ხორციელდება განმავითარებელი აქტივობები. ამ ეტაპზე, აქტიუალური თემა იყო დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ცნობადობის ამაღლებით დასაწყისი ღონისძიებები. ასევე, იგეგმება აუტიზმის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები, როგორც სასკოლო, ასევე სალამზრდელი პროცესში.



ტირებისათვის საჭირო ქცევების და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, პრობლემური ქცევის მართვა და პრევენცია. ფსიქოლოგის ფუნქციაა დაეხმაროს ბავშვს შესაძლებლობების გათვალისწინებით აკადემიური, ფუნქციური, მობილური, კომუნიკაციური, სოციალური და კოგნიტიური (აქტმა, აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება, მეტყველება) უნარების განვითარებაში.

ასევე ფუნქციონირებს წრეებიც, კონკრეტულად, სამკურნალო ფიზკულტურა, რომლის მიზანია მოძრაობითი ჩვევების დაუფლება და ფიზიკური თვისებების განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება, დამოუკიდებელი მოტორული ქმედებების სტიმულირება და ფორმირება, სწორი მოძრაობითი უნარ-ჩვევების გამოუმუშავება. ეკოლოგია ეხმარება აღსაზრდელებს შეაყვაროს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება და განუვითარდეთ მისდამი ფაქიზი დამოკიდებულება. შეიძინონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარები. ძერწვის ხელოვნების ფუნქციაა -მოსწავლეთა ჩაბმა შემოქმედებით საქმიანობაში, მასალის (პლასტიკის, თიხის), ტექნიკის (ძერწვა), იარაღის გაცნობა-გამოყენება, მუშაობის პროცესში ჰიგიენის, უსაფრთხოების წესების დაცვა, ერთობლივი (წყვილი, ჯგუფში) და დამოუკიდებელი მუშაობა, თანამშრომლობა, პრევენციის უნარი. „სახიობა“ ხელი უწყობს ბავშვს მსხვილი მოტორიკის, მუსიკალური, სამეცნიერო და მცირე საცეკვაო უნარების განვითარებას - ეთნომუსიკისა და შესაბამისი მეთოდის გამოყენებით. თერაპია „ვსწავლობთ თამაშით“ მიზანია მოსწავლეთა მიერ გარემოს შეცნობა, ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაჩენა-გაღვივება.



ცოდნასა და სოციალურ უნარებს, ხელს უწყობს მათ, რომ მომავალში შეძლონ შესაძლებლობების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. მე-200 საჯარო სკოლა არის პანსიონური მომსახურების მქონე დაწესებულება, რომელსაც ხელმძღვანელობს ლვანლომისი პიროვნება **მარინე უჯმაჯურიძე**. იგი, აღნიშნულ თანამდებობაზე

ტანციურ სწავლებაში აქტიურად ჩართვამდე გამოიყენებდა კორექტივური მეთოდის, რომელიც ჩვენი სკოლისთვის მრავალჯერ ნაცადი, აპრობირებული პრაქტიკა იყო. ამასთან, გაზგასამთ გამოიკვეთა მშობლების როლი, როგორც ბავშვის მხარდამჭერი, - მეცადინეობის პროცესში, - ვინაიდან მათ უწყვედად საკუთარი შვილებისთვის

სკოლა საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც ყველა მოსწავლე ინდივიდუალური თავისებურებითა და საჭიროებებით განიხილება არა როგორც ტვირთი და პრობლემა საზოგადოებისათვის, არამედ მისი განუყოფელი ნაწილი, რომლის თვითრეალიზაციაც აუცილებელია ამავე საზოგადოებისათვის. ამაყმად, ერთი პირველი კლასი გააქვს და დამრიგებელია **ლალა სანაია**. ცალკე დაწყებითის კათედრა არ ფუნქციონირებს.



ენობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები დღეობს: „სოლო-დარბას ვუცხადებთ უკრაინელ ბავშვებს“ და სხვა. ერთჯერადი ღონისძიებებისა გარდა, პანსიონი აღსაზრდელებს სთავაზობს სხვადასხვა თერაპიულ და წრებრივ მუშაობებს.
სკოლა-პანსიონი ფუნქციონირებს სხვადასხვა **თერაპია**. მაგ-



1986 წლიდან მუშაობს. როგორც სპეციალური სკოლის დირექტორმა, წარმატებით შეძლო მიეღო და პრაქტიკულად დაენერგა, განათლების სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები, ის სიახლეები, რაც სპეციალური საგანმანათლებლო პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ადმინისტრირების თვალსაზრისით არსებობდა. აქ სწავლება ორ საფეხურიანია: დაწყებითი და საბაზო.

ასისტორების განევა საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად. ამისათვის ჩვენი სპეციალისტებისგან და საგნის მასწავლებლებისგან მათ მიიღეს რეკომენდაციები, როგორც სინქრონულ, ასევე ასინქრონულ და ჰიბრიდულ სწავლებასთან დაკავშირებით. ამასთან, პირველ ეტაპზე ფსიქოლოგისა და სპეციალური მასწავლებლების მიერ დაინერგა რამდენიმე სახის საორიენტაციო-საგანმანათლებლო ვიდეო, რომელიც ემსახურებოდა მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების გააქტიურებას (ნატივი მოტორული უნარები, ვიზუალური მეხსიერება, ხანმოკლე მეხსიერება,

სკოლა საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც ყველა მოსწავლე ინდივიდუალური თავისებურებითა და საჭიროებებით განიხილება არა როგორც ტვირთი და პრობლემა საზოგადოებისათვის, არამედ მისი განუყოფელი ნაწილი, რომლის თვითრეალიზაციაც აუცილებელია ამავე საზოგადოებისათვის. ამაყმად, ერთი პირველი კლასი გააქვს და დამრიგებელია **ლალა სანაია**. ცალკე დაწყებითის კათედრა არ ფუნქციონირებს.
სკოლა-პანსიონი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით: მოადგილეები სასწავლო ხაზით - **ლალი გელენავა**, სალამზრდელი დარგში - **ქეთევან სტურუა**, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი - **ნინო შარიაძე**, ექიმი-პედიატრი - **ვერა ციხელაშვილი**, მენეჯერი - **ლალი ნაცვლიშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნინო კაპერსკი**. სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა. ქართული ენა და ლიტერატურის - ხელმძღვანელი - **ლელია მინდიაშვილი**, მათემატიკის - **ნინო ჯიჭური**, საზოგადოებრივი მეცნიერებების - **იზა მეგრელიშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - **ზალინა ცხომელიძე**, უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) - თავმჯდომარე - **ნინო კაპერსკი**, ხოლო სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის - **ლია სანაია**. მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ განვითარებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ ეტაპზე, სკოლას ჰყავს უფროსი მასწავლებლები, რომლებიც ელო-



ალითად, ენისა და მეტყველების თერაპია, რომელიც ხელს უწყობს მეტყველების პრობლემების მქონე აღსაზრდელების საჭიროებებზე ორიენტირებული სამუშაო პროცესის შექმნას. თერაპევტი ეხმარება აღსაზრდელებს შემდეგი უნარების განვითარებაში: სამეტყველო ხმისა და სუნთქვის განვითარება, სარტიკულაციო აპარატის ვარჯიში, ნატივმატიური სმენის განვითარება, ფანტიმ მოტორული უნარების განვითარება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. სოციალური თერაპია ეხმარება ისეთი უნარების გამოუმუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში. თერაპევტის მიზანია იმუშაოს სამი მიმართულებით: ვერბალური/არავერბალური კომუნიკაცია, უსაფრთხოება და საზოგადოებრივი ცხოვრება. არტ-თერაპია, რომლის მიზანია დაეხმაროს ბავშვს თავისი განცდებით მისაღები ფორმით - თოჯინით თამაშის საშუალებით, გამოავლინოს შემოქმედებითი აქტივობა რთული სიტუაციების გადასაწყვეტად გათამაშების, მოდელირების საშუალებით თამაშის პროცესში. დრამატურაპია ეხმარება ბავშვებს თვითგამოხატვის უნარის გამოუმუშავებაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. რთული ქცევის მართვა - მიზანი: ბავშვის სოციალური უნარების განვითარება, ადაპ-



პატარები საიხედოდ არიან



ბავშვებს რომ განსაკუთრებული მზრუნველობა და დაცვა სჭირდებოდეს, ეს ყველას კარგად გვესმის. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, მშობლებს შვილები საიხედოდ ეგულდებიან, მათზე ზრუნავდნენ და ოჯახურ გარემოს უქმნიდნენ.

დირექტორი ირმა მაყიშვილი, უკვე მრავალი წელია შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას და შედეგად თვალსაჩინოა. იგი, მადლობას უხდის ბაგა-ბაღების სააგენტოს თანადგომისა და პატარების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის.

სამსუბაროდ, კოვიდვირუსის დადასტურების გამო, ხშირად გვინდებოდა სასწავლო პროცესის შეწყვეტა. თუმცა, რთული პერიოდი გადავლახეთ და ამჟამად, სააღმზრდელო პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. 143-ე ბაგა-ბაღში სულ 10 ჯგუფი და 374 აღსაზრდელია.

143-ე ბაგა-ბაღში, დირექტორთან ერთად პატარებზე თავდაუზოგავად ზრუნავენ მოადგილე: ნონა საღირაშვილი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი ქეთევან სუსუნიაშვილი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი გულნაზ მუსხივაშვილი, ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები - ნადეჟდა ჯღანტიაშვილი და მეგირაზმიანიშვილი, საქმისმწარმოებელი ნინო გვილაძე, საქმის მწარმოებლის თანაშემწე ხატია გორდენიანი.



თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების გამოყენებით, აღსაზრდელების გონებრივ და შემოქმედებით გან-

ბელი თამარ ლავრელაშვილი. რაც შეეხება, კვებას, ეს საკითხი დედაქალაქის სხვა საბავშვო ბაღებთან ერთად, აქაც იდეალურად მოწესრიგებულია. ბავშვები იკვებებიან ჯანსაღად. გათვალისწინებულია კალორიულობა და ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. სამზარეულო ბლოკში დასაქმებულები არიან: მანანა მერებაშვილი, ნათელა ჯობიანიშვილი, დარეჯან სუსუნიაშვილი, მანანა მეშველიშვილი და ლალი ნონკოლაური. ტექნიკური საკითხებს მშვენივრად აგვარებენ დალი მერებაშვილი. ეთერ მჭედლიძე, მაკა ჭოლაძე, ნინო ფილიშვილი, ხატია მეტრეველი, მედიკოთიძე და რუსუდან სამხარაძე.

საგულისხმოა, რომ რთული სასწავლო წლის მიუხედავად,



ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია კვალიფიციური აღმზრდელებით, ესენი არიან: ეკატერინე მუსხივაშვილი, ხათუნა ბაზიკიანი, ოლღა ტურაშვილი, თეა შაპოვალოვი, ეკატერინე ნიქარიშვილი, ქეთინო ხარიტონაშვილი, ნინელი არაბული, ეკა ლაგურაშვილი, ქეთევან ფოცხვერაშვილი, თეონა ბახტურიძე, დარეჯან თოდაძე, შორენა ფანჯარაშვილი და ლარისა ხერკელაძე. პედაგოგებს მხარში უდგანან აღმზრდელების თანაშემწეები: ნინო დოლიძე, მანანა ჭიაბერაშვილი, ნათია ყანდორელაშვილი, თათია ლუდუშაური, მარინე ჯადუგიშვილი, ხათუნა ბუზალაძე, ლეილა ბერაია, ნინო გოდერძიშვილი, ლალი ჩუბინიძე, გვანცა ჯოგლიძე, სუსანა ქარაია, მთევარისა ქრისტესიაშვილი, თამარ გაბიაშვილი, ნინო ამირეზაშვილი, ანა ცუცქვირიძე, ლელა გულორდავა, ნონა საღირაშვილი, ებრაელიძე, ნინო ჭოლარია და მზია სამაშვილი.

ვითარებაზე ზრუნავს ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინარული გუნდი: ფსიქოლოგი მაია კობახიძე, სპეც.



143-ე ბაგა-ბაღში პატარები თავს დაცულად გრძობენ. აქ სისუფთავე და დისციპლინა უმთავრესია. ასევე, უმნიშვნელოვანესია აღსაზრდელების გონებრივი და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგანყენთ, რადგან ბაღის ეზო და შენობა სრულად მოწესრიგებულია; ასევე, განახლებულია ყველა საჭირო ინვენტარი, სათამაშო და მეთოდური სახელმძღვანელო. ბაგა-ბაღების სააგენტოს და კახაბერ გვანცელაძის მხარში დგომით, აღსაზრდელებს სრული კომფორტი შეუქმნეს და მშობლებიც კმაყოფილები არიან.

ირმა მაყიშვილი: - პანდემიის პირობებში, მოგვსენებათ სასწავლო სააღმზრდელო პროცესი სრულყოფილად ვერ წარიმართა.




პედაგოგები - მაკა მანჯგალაძე, თეა რუხაძე, ლოგოპედები მაყვალა კობიძე, შორენა ბენდელიანი.

აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებაში, ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობა თუ ღონისძიება. მარტში აღინიშნა „დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე“. ბავშვებს ხელოვნების სიყვარულს უწერგავენ მუსიკის პედაგოგები - ნანული ჯანუყაშვილი, მარინა ნასუაშვილი და ცეკვის მასწავლე-

ბაგა-ბაღში „სასკოლო მზაობის“ პროგრამა წარმატებით განხორციელდა. გამოსაშვებ ჯგუფებში აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, სადაც პატარები გადიან პროგრამით გათვალისწინებულ თემებს თუ აქტივობებს. სასწავლო პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიების განხორციელება.

ანანო სამელია





ნანა ნოშვილია

ხელოვნებათმცოდნე, თვითნასწავლი მხატვარი, ბოლნისის დაბა კაზრეთის კულტურის ცენტრის ყოფილი საბავშვო საესტრადო ანსამბლის ხელმძღვანელი, პირველი საჯარო სკოლის ყოფილი მუსიკის და ხელოვნების პედაგოგი, ფილარმონიის უმაღლესი ჯილდო „ოქროს მუზისა“ და საუკეთესო პედაგოგის ოქროს მედლის მფლობელი, სიმღერების ავტორ-შემსრულებელი, საქართველოს მრავალი ფესტივალის ლაურეატი. ამაჟამად ემიგრანტი პოლონეთში.

პეკელა

დილით პეპელა მესტუმრა, მითხრა დამხატვ ჩქარაო, ამ საოცარმა სურვილმა, შენამდე მომიყვანაო...

ჯერ თეთრ ყვავილზე ჩამოვჯდა, გაშალა ფრთების მარაო, მერე ესეც არ იკმარა - უნდა გაფრინდე ჩქარაო.

ყავის ფინჯანზე დასკუბდა, ცოტა მომისვა ყავაო...

ამას ვერც გავიფიქრებდი თუ ცხადში სიზმარს ვნახავდი, პეპლები დიდხანს არ ცოცხლობს, მაგრამ დარჩება ნახატში.

დავხატე...

დღეს თავს მივეცი სიგიჟის ნება, დღეს ჩემი სული ხორცს არ ეკუთვნის, ცად ავიჭერი ხატვის მუზებთან, სურვილი არ მაქვს გრძნობის შეფუთვის...

დავხატე ჩემი ფიქრის სამყარო, პალიტრა ვავსე თბილი ფერებით, ჩვენი ოცნების სახლიც მოვხატე, გვირილებით და ქრიზანთემებით...

ფანჯრები ფართოდ გამოვალე და ავაფრიალე თეთრი ფარდები, მზეს დავანახე ღია სარკმლიდან ის ნაჩუქარი შენი ვარდები....

მხესუმზირების ლობე გავავლე, ჭრელი პეპლები ავაფარფატე, იქვე კუთხეში შენ რომ გიყვარდა თეთრი ფუმფულა კატა დავხატე,

ის მელოდიაც კი გავიხსენე, ცაში რომ ერთად ვწერეთ ნოტები, დღეს თავს მივეცი სიგიჟის ნება, ახლა ვდგევარ და შენ გელოდები.

დასრულდა ზაფხულის ლამაზი დღეები, მზემ სითბო სხივების ღრუბლებში დამალა, აცივდა, გახშირდა წვიმა და ქარები, ხეებმა ფოთლების ცრემლები დაღვარა, სადა ხარ, დაგეტებ, ცხადში თუ სიზმარში, მიდიან დღეები დროს ჩემგან მიყავხარ, დაბრუნდი სანამ ჯერ არ არი გვიანი, დაბრუნდი სანამ გულს უნდისხარ მიყვარხარ.

ძველი იარა

ახლა მთვრალი ვარ, მივუყვები ღამეში ქუჩებს, და მონატრების ფიქრობობალამ გადამიარა, იმდენი დარდი შემოიჭრა გულის ღრეჭოდან, რომ, ამატკივა დატოვილი ძველი იარა... მომყვება მთვარე

უცნაური ღრუბლების ჯვართ, მხოლოდ მან იცის ჩემი დარდი, გაიზიარა, არ მიმატოვა გამინათა შემოილი ღამე და ქუჩა ქუჩა ჩემთან ერთად მანაც იარა, ახლა მთვრალი ვარ, შენით მთვრალი ვარ, ღვინით კი არა.

მიყვარხარ და მეყვარები მთელი ცხოვრება, შენი ფასი ქვეყანაზე არ მეყოლება, ცრემლებიც და სიხარულიც შენ მომიტანე, მყვარებოდა სიგიჟემდე შენგან ვისხავლე, მე წვიმა ვარ გაზაფხულის შენთან მისული, მე ქარი ვარ შენს ქუჩებში დაბადებული, მე სხივი ვარ შენს სარკმელში შემოპარული, სიჩუმეშიც მე გეძახი დამიგდე ყური.

ცხოვრობდა ერთი მხატვარი, თავისთვის მარტო ცხოვრობდა, ხატავდა ლამაზ ყვავილებს, გოგოებს ცისფერთვალებას, ამბობდენ, რას არ ამბობდენ, ზუსტად ვერაფერ ხვდებოდა, მხატვარი თავის ნახატებს თუ რატომ ემსგავსებოდა...

იმ ძველ ბინაში ყველაფერი შენს თავს მახსენებს, ყველგან შენ ხარ და ყველაფერზე შენი ხელია, დუმს როიალი, მოწყენილან თეთრი ვარდები, ირგვლივ სევდა და ყველაფერზე სევდის ფერია...

ხმაურობს წვიმა, ჩურჩულებს ქარი, აღვიძებს წარსულს, სადაც შენი ნაკვალევია, ვერ შევურიგდი მე უშენობას მე ხომ შენსავით ვერ არავინ არ მყვარებია.

დავდივარ მარტო, უამრავში შენ ერთს დაგეტებ, ვიცი უშენოდ არსებობა არ მიწერია, იმ ძველ ბინაში ყველაფერი შენს თავს მაგონებს ყველგან შენ ხარ და ყველაფერზე შენი ხელია.

* **

როცა მომენატრები, ჩემთვის ჩავიკეტები, ფიქრად გადაქცეული, დავალ, დავეხეტები.

რა არ მიყო ცხოვრებამ, აღმა დაღმა მატარა, გაზაფხულის ყვავილი ქარმა შემომაცალა.

ჩემი გზა და სავალი ფიქრებს დაუთოვია, რადგან თავშესაფარი ვერსად ვერ მიპოვნია...

* **

დაგეძინება? სიზმრებიდან გამოიპარე, თითქოს და სადღაც გაგვიანდება ისე იარე, მეც იმ სიზმარში

დაგელოდები შენ რომ დამტოვე, იმ ჭადრის ხესთან მზეს ვემალები, მკლავს სიმარტივე, -მონატრებასო რა უყოვო, კვლავ გამაგონე.

სიზმარი ისე წამიერია ნუ დააყოვნებ, ჩაგეძინება, სიზმრებიდან გამოიპარე, მეც იმ სიზმარში შენ გელოდები, მკლავს სიმარტოვე.

* **

მე მოვალ შენთან გარდასულ დღიდან და შემოგიღებ კარს, მოგაჯადოებ მოგონებებით ცრემლით აგივსებ თვალს, გექცევი ფიქრად ხვალინდელ მიზნად არ შეგაყვარებ სხვას, ფანჯრის მინებზე დაგინერ სიტყვებს ...მე შენ მიყვარხარ...

* **

შენ ისეთი სულაც არ ხარ ეს მე გამოგიგონე, ოცნებებით გამოგქერნე შენთვის რა არ ვიღონე, შენ ლამაზი სულაც არ ხარ, ეს მე გაგალამაზე ია-ვარდი მოვიყვანე გზებზე შენსკენ სავალზე, როცა მივხვდი ლამაზ სიტყვებს ჩემგან შორს რომ მიყავდი, ჩემი შეთხზული მიყვარდა, შენ სულაც არ მიყვარდი. ლექსად გწერე სტრიქონები ლამაზ სიტყვად დაგქარგე, სიმღერებად გაქციე და ამით უფრო დაგქარგე.

* **

მოვიდა წვიმა ღამით ქალაქში, ფანჯრის მინებზე გზები დახატა, გამოჩნდა ქარი, დაუქროლა და წვიმის ნახატი უცებ წაშალა...

რა გინდა გეთქვა წვიმა ჩემთვის? ფიქრებმა ასე რად გაგანვალა? იქნებ ვინც მიყვარს მთელი არსებით ჩემთვის მოკითხვა გამოგატანა.



ნაზი გალოზარი

სისხლის ყივილი

მინის ბრუნვაში ბარის პირით როცა ვხალისობ, სადღაც მიმქრალი სიჭარმაგე მესალბუნება. ნაჯაფ ხელებზე შეუშრობი მინის სისველე გულის სანვეთურს წვეთწვეთობით ჩაედინება.

ხელის გულებში თავჩარგულს და თავდაუღწეველს უიმედობის მძაფრ უღლისგან - მე მეჩვენება: ჩემი სიცოცხლე ძველთა ხსოვნის უკვდავებაა, ხოლო სიკვდილი - ფუძე-კერის გადაშენება.

წელგატეხილი ვიფარფატებ სანამდეც შევძლებ და გამრუდებულ ხერხემალსაც ვათრე ვახხირით, დედის საფლავთან გადმოღვრილი ცრემლის ნაკადი გულის მალამოდ მეზიდება, ანდამატივით.

უიმედობის მძაფრი ბადე უნდა გავგლიჯო, წინაპართ ხნულში ძველი კვალი გადავარჩინო, კაეშნით სავსე სიმარტოვეს შევებრძოლები, ჩამქრალ ნაღვერდალს მუხლმოდრეკით ვეამბორები.



ნატალია სამუშია

დედიკოს

შენ რომ ცოცხალი მყავდე, მე რას მიზამდა სევდა, მეგებებოდი, მეფერებოდი, შენ გენაცვალოს დედა.

ამაზე დიდი ბედნიერება სხვა თუ არსებობს ქვეყნად, ჩემო ლამაზო, ჩემო მშრომელო ჩემო გამზრდელო დედა.

ისე მჭირდები, როგორც არასდროს, ძლიერ მჭირდები ეხლაც. ბევრი რამის თქმას ვერ შეგბედავდი, მაინც გეტყოდი სევდას..

მახსოვს მიგებდი, მიაღერებდი, გულში მიკრავდი დედა, იმედს მომცემდი, დამამშვიდებდი, დამილოცავდი ჩემს გზას.

მაგრამ აღარ ხარ, იქით არჩიე, შენს ვაჟკაცებთან ერთად, უფალს ამას ვთხოვ, რომ შენი სული ნათელში მყავდეს, დედა.

ირინა ხურციძე (ირინოლა ტყეშაველი)

მონატრებად დარჩენილო

სხვანაირად გულს რა ფიქრი ვარჩევინო, ქვეყნად ჩემი ოცნებისთვის გაჩენილო, სულში რითმის ნედლ ტოტებად გარჩენილო, ჩემს თვალელებში მონატრებად დარჩენილო...

ვერაფერმა გაანელოს გრძნობის ცეცხლი, ეს ცრემლები მზეზე ბრწყინავს როგორც ვერცხლი, რა ხანია ტრფობის სასმისს ვსვამ და ვერ ვცლი, დარჩეს ასე, არაფერსაც აღარ შევცვლი...

აუშვია ქარებს ღრუბლის აღვირები, მეგონა, რომ დაბრუნებას აპირებდი, საით მიდის უსასრულო ნაპირები, გვირღვრებით მოჩითული აპრილები...

სხვანაირად გულს რა ფიქრი ვარჩევინო, ჩემს თვალელებში მონატრებად დარჩენილო...

ჭადრის ფოთლები

ჭადრის ფოთლებო, მეც მოვწყდები ოდესმე ნაპირს, ცხოვრების ტალღებს შევერევი ფერთა გამებით, დიდი ხანია ველოდებით მე და თქვენ აპრილს, ავბედით ზვირთებს ერთნაირად ვეთამამებით...

ნაზამთრალ ტანზე ატყერცვლიათ შიში ზაფრების, საკუთარ სურვილს ვინა გკითხავთ ბედსმინდობილებს, ერთმანეთს მისდევთ მწირ სიცოცხლის გადასარჩენად, დამსგავსებისხარტ გზააბნეულ ხმატკბილ დობილებს...

შემოანათებს გაზაფხული ტოტებს რომელზეც, მშვიდად ისხედით, ვიდრე ქართან ბრძოლა შეძელით, რალა დროსია, არას ვამბობ გაცვლილ როლებზე, რაგინდ ვეცადოთ, იმ დროს მაინც ვერ დავეწვივით.

ირინა ხურციძე 1979 წლიდან ვანის ლიტერატურული გაერთიანება "საჩინოს" ვეტერანი ნევრია, ასევე ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო მეცნიერებათა მრავალპროფილიანი აკადემიის და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ნევრი, სამი პოეტური კრებულის ავტორი, რამოდენიმე წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის თანაავტორი. ამჟამად ემიგრანტი საბერძნეთში.



კვლავ მერამდენედ ვწერე და ვრითმე, სიტყვები, როგორც ლექსის მორევი, ვერ გავაკვირვო ვერავინ რითმე, ამ ელევით, ჩემი ცხოვრების...

გადაღლილია გული დეღვილი, განმქარვებელი არ ჩანს წყლულისა,... და ყველა ლექსი, ვერგამხელილი აღსარებაა, ჩემი სულისა....

ისე შემოვრჩი სამყაროს, ვით ჭოტი ღამისმთევარი, დარდები გულზე მკიდა, მეომარს ვით სატევარი... მივალ მივალდავ ნკვარამებს, რითმის და კალმის ფხაკუნით, მე ხომ ამათი არ ვიცი, არც ჩემი ესმით ქართული, მაინც მოვმართე სამღერლად ფიქრების სიმთა ფანდური, ვერ იქნა ვერ მოვიშორე ფერი გლუვი და გლამური. დღემდე ვერ ავახმინანე ჩონგურ სიმები გაბმული, დამწყდარა ყველა მათგანი, ახლავე უნდა შეველო. ადამიანს ვერ გავუგე, ჩიტების მესმის ენაო, სიმართლეს თვალს ვერ უსწორებთ, არც არვის მინდა წყენაო. ვერაფრით ვერ გავაჩუმე, ო, ეს სამინე ენაო... სადაც კი ხმა ამოვიღე ირგვლე დამიწყეს ღრენაო, მომძახეს, როგორც სულ უცხოს, სად შენ და ან სად ჩვენაო... ასეთი ყოფის გაძლუბას, სჯობია ვარსკვლავთცვენაო. მე მაინც ვიტყვი ჩემს სათქმელს- არ დამუნჯდების ენაო, ამაში არის დღეს ჩემი შანსი და გადარჩენაო.

ანეწილია ფიქრი ნისლეზად, დაუნერელი სევდის კანონით, განოლილია წამი სივრცეში, ბნელ ხეობაში ვით კანიონი...

აპრილია, თუმც გინდ დაიჯერე, ძველით ხომ ისევე ანწხლი მარტია, მე კი ფიქრებით გელერსები, სხვა არაფერი არ მაბადა...

ჩამოესხნება ზეცას ღრუბლების ღამურასფრთების ფერი ნილაბი... აღარც არავის ვემახსოვრები, ახლა ვინა ვარ, ან ვინ ვიყავი...

და ყველა ლექსი....

გადაღლილია გული დეღვილი, განმქარვებელი არ ჩანს წყლულისა,... და ყველა ლექსი, ვერგამხელილი აღსარებაა ჩემი სულისა...

ემათხოვრება დროს სული წუთებს და ჟამს ამგვარად ვუთამამდები... დარდებს ჯერაც კი, ბაგიდან უთქმელს, დაუდალია გული შანთებით...

მე მოვდიოდი შორი გზებიდან, დამაშვრალი და სახემტირალი... და მომკიოდა ქარი ზღვებიდან, ვით ძვირფას ნადავლს ვინმე ფირალი...

ბუნება მაინც თავისას ითხოვს და გაზაფხული მოაქვს კალთებით...

შემომალუნა დრომ ეს სანუთრო, ვერ ვქმენ საგმირო თუნდაც მცირედი... სხეული გვემით უნდა გავწურთონო, - შევძლებ თუ არა- ვერ შეგპირდებით...

**

ამდის სხეულზე ვნების აღმური, დაფლეთილი მაქვს სულის სარჩული, დაკოდილია გული ამურის ისრით, თავს მადგას დრო ვით მსაჯული...

შეფეთილ საფლავს გავს გული ჩემი, სად დგას უფსკერო კასრი ცოდვების, საკუთარ ფიქრებს ისე ვუკვდები, - ვერ ავარიდე სიზმრის ბოდვები...

ველარ ვიოკებ გრძნობებს მონოლილს, კვლავ უშენობის კვალი მატყვია, ალბათ არასდროს გამოიადარებს, ირგვლე ისეთი ნისლი მარტყია,



ცამო აბაშაძე

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ნევრი, ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის ნევრი, ერთი საბავშვო წიგნის ავტორი და რამდენიმე ტომეულის თანაავტორი. ამჟამად ემიგრანტი იტალიაში.

ჰა! გაიხედნა ის ღრუბელიც და აიფოფრა! ლაგამი მოსდეთ! სადაცაა გაიჭრა ცაში... მიქრის... მიჭენავს... ფლოქვებიდან ავარდა ალი! ცეცხლივით ელავს ოქროსფერი ფიქრის მარმაში.

- გახსოვს? პირველი შეხვედრის წამი? - რა დამავიწყებს ჩემო, იმ დღის შემდეგ ხომ საუკუნეა, კვლავ ძველებურად გჩემობ.

ცას შესევია გაუხედნავ ფიქრების რემა! რძისფერ ნისლებში რძისფერივე მიქრის რითმები, ზღაპრულ სფინქსივით წამოვდგები ნამსხვრევეებიდან, მერე თუ გინდათ, შეაგროვეთ ჩემზე მითები.

დღემდე მინათებს შენი თვალეები, შენი წამწამთა ჩერო, - გაჩერდი ერთი, ნუ გამაციენე, ძლივსლა დადხარ ბერო.

ვარ და ვიქნები მუდამ ჩემი მუზის მსახური, ნუ გაიცინებთ, რადგან ცაში ფრენა მწყურია, მკერდით შევასკდი ღრუბლებიდან წამოსულ ურჩხულს, ჩემზე ამბობდა: ეს ბაცილა სადაურია.

- გახსოვს? პირველად როგორ გაკოცე? - უი, მომიკვდეს თავი, ასე მეგონა ზღვაში შევცურე, გადამბრუნდა ნავი.

დიახ... და ვიტყვი, რომ სამყარო მუჭის ხელაა, პოეტის გულმა სატრფიალოდ იკმარა ნამიც, რომ უკვდავება მხოლოდ ერთი ამოსუნთქვაა და დამითმია ჩემი ყოფის ყოველი წამი!

და ტალღებით მეჯახებოდა, გრძნობის ცუნამი, წმინდა, ცეცხლმოდებული, ტკბილი ტუჩები უცხო ჟრუანტელს მგვრიდა.

- მე ახლაც მათობს შენი თვალეები, - ჩუ, არ გაიგოს ვინმემ, - გაიგოს მერე, არ მერიდება, მხოლოდ ცუგრია გვისმენს.

როგორ მინდა ავად ვიყო, სიცხისაგან ვინვოდე, მოდიოდე ფეხაკრეფით, არაფერი ვიცოდე.

- ნელა იარე, წელი ამტკივდა, სად გეჩქარება, ნეტავ? სადმე ჩამოვსხდეთ, მუხლი გავმართოთ, კოცნასაც შემოგბედავ.

შუბლზე ვიგრძნო ცხელი კოცნა, ვითომ არ გამიგია, სიზმარეთში ეპ,რამდენჯერ ფარდაგიც დამიგია.

მიტუსტუსებდნენ ორნი ქუჩაში, ტკბილი სიბერის ჟამს, ბებოს ფიქრებში პატარა გოგო, ენაზებოდა ვაჟს.

გავიტრუნო ფერებაში, გულში ჩუმად ვტკებოდე, ჩემს ბაგეებს ეხებოდე, ჩემს გულმკერდზე დნებოდე.

ქარი სამიჯნუროდ ხეებს დაერია, კოცნის, ეფერება, თავბრუ დაახვია... ნეტავ, მაცოდინა ამდენ ღამაზმანში ქარის არჩეული ქალი რომელია...

მოდიოდე თეთრი კაბით, მზის ღეჩაქი გეხუროს, ტაშფანდური გააჩალონ, დოლი გადაახურონ.

თრთიან, ირხევიან ეჭვებს აყოლილნი... გული საალერსოდ მაინც გაულიათ... მე კი არ მასვენებს ფიქრი ეშმაკური... ქარის არჩეული მაინც რომელია?

სიცხემ მართლა ამინია, აღარ ვიცი რას ვბოდავ, ღმერთო! ნატვრა ამიხდინე, სანამ მართლა შევცოდავ.

თითქოს საპასუხოდ, ჩემი განაფიქრის, ქარმა ვაჟკაცურად მხრები შეარხია, მე შენ მიყვარხარო - ყურში მიჩურჩულა... წვიმის ყელსაბამი ყელზე შემაბნია.



მარი კუზლაშვილი

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი, ერთი პოეტური კრებულის და რამდენიმე ტომეულის თანაავტორი. ამჟამად ემიგრანტი იტალიაში.

ვიეჭვიანებ

ბავშვობის მერე დღეს პირველად ვინატრე წვიმა, მყუდრო ოთახი, გვერდით შენ და ფინჯანი ყავა, თუმცა ოცნებას მცხუნვარე მზის სხივები მიკლავს... და ეს დღეც ალბათ უაფროდ და უშენოდ წავა.

როდელია მწამდე, მიყვარდე და მე სხვა მესმოდეს, ვიცი, ათასი გეტყვის, მაგრამ ათასს უარყოფ, ჩემი სამყარო ცარიელი ახლა ესოდენ, არარსებულზე მეოცნებე გახდა თუ ატყობ.

ინვიმებს ხვალ, ზეგ, სულ ერთია, მაინც ინვიმებს, ღამეს მოლოდინს შემოვახვევ, როგორც ღიანებს, ათასი გეტყვის, ისიც ვიცი, ყველას უარყოფ, მაგრამ მე მაინც შენს ლექსებზე ვიეჭვიანებ.

ჯერ არღანერილ ლექსებზე ვდარდობ

თვალს ვახელ და ყველა კუთხე-კუნჭულს ვამოწმებ, ოთახი თითქმის დაუფარავს მტვერს და ცარიელ ფურცლებს, რომლებიც უწესრიგო, ძალაგამომცლებლ, ჯერ არღანერილ ჩემს ლექსებთან უბრად არიან.

აქ არაფერი აღარ დარჩა ხელშეუხებები, ახლა ყველაფერს უშენობის კვალი ატყვია, და განაჩენის აღსრულებას ვერ შევუდგები, როგორმე უნდა ავიცილო ბედის ბრმა ტყვენი.

ჰო, არ მოგესმა, არღანერილ ლექსებზე ვდარდობ, სასიქადლო ამბებივით გულში ვინახავ, და როგორ ფიქრობ, მე როგორ ვარ ან რას ვგრძნობ ამ დროს, როცა დღის შუქი შენი თვალთ არ დამინახავს.

გრძნობებს ვიტიკებ, აღარ ვეძებ ჩემთვის დასტაქარს, სადაც - შენ, იქაც - მე და მოდი, ასე დასრულდეს, მე თანახმა ვარ, თუ სიჩუმე დიდხანს გასტანს და თუ ძველ ტკივილებს ღამე ქურქად შემომახურობს.

თვალს რომ ვახელ, ვხედავ მხოლოდ მტვრიან მაგიდას, ჰო, ამ აბსურდში უშენობამ სივრცე გადახარა, ინერებიან აუხსნელი ჩემი ლექსები, მაგრამ შენ ამ დროს არსად არ ხარ... არსად არა ხარ!

ერთმანეთს სიჩუმეს დავპირდით

გესმოდეს, უბრალოდ სიჩუმე გესმოდეს, სიტყვები საერთოდ არ ცვლიან არაფერს, მიდიან, მოდიან და მაინც ჩემოდენს სიყვარულს საღებუნად არავინ დაგაფენს.

გასრულდა უთოვლო ზამთართა გოდება, ცივ წყაროს წყალივით მენამლა ფერი ცის, ვინ იცის, რამდენი რამ მომაგონდება, ვინ იცის... არავინ, ეს მხოლოდ მე ვიცი.

ათასი დაღლილი სულიდან ერთი ვარ, რომელსაც სიმშვიდე ვედარე კი აწყნარებს, არც ანგელოზი ვარ, ვფიცავ, არც ღმერთი ვარ, სანოლთან გიტოვებ ჩემს დაჭრილ ნაწნავებს.

ვიღვივებ ყოველთვის ჩიტივით დამფრთხალი, ოცნება მარტოდენ დილიდან დილაამდე მცაღდება, რადგანაც მესაედ მაფრთხილებს, ეგ მზერა, რომელსაც სიცოცხლე მივანდე.

ჩემამდე მოჰყავხარ ეკლიანს თუკი გზებს, აქ, ჩემთან დაგხვდება სიტობი და აპრილი, სად დახვალ, მომავალს გზადაგზა თუ გკითხვს, გახსოვდეს, ერთმანეთს სიჩუმეს დავპირდით!

ფიქრისთვისაც მეტვერები

უსასრულო გზა მგონია ყველაფერი და ამ გზაზე ბედის ერთი საქანელია, ოცნება რომ ოცნებაა მზის საფერი, ალბათ იქაც ვერ მოვასწრებ დაქალებას.

ყველა წამი უწესრიგოს ქმნის ნაკვალევს და დამშრალი მიწის სურნელს აფრქვევს დილა, მე ვერ ვიტან ირონიულ, შავ-თეთრ დღეებს, მე ვერ ვიტან დაბრუნებას ძველ ადგილას.

წლების მერე, ვერაფერი გამაკვირვებს, ვერც სიტყვა და ვერც უსულო შედეგები, ჩემს მაჯებზე გადატანილ მძიმე კვირებს, ვისხენებ და ფიქრისთვისაც მეტვერები.



ნანა ბოჭორიშვილი-ჩარკვიანი



ნანა ბოჭორიშვილი თერჯოლის რაიონ სოფელ ქვედა სიმონეთში დაიბადა. ლექსების წერა სკოლის ასაკიდან დაიწყო. ათი წელია უკვე ემიგრანტია. სამშობლოდან შორს გამაფრებელი სიყვარული და მონატრება მის პოეზიაში აისახა და ემიგრანტობის მძიმე უღელს უმსუბუქებს. იგი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. აქვს საკუთარი კრებული „მონატრების ცრემლი“. რამდენიმე წიგნის თანაავტორია. მისი ლექსები რეგულარულად იბეჭდება „ჟურნალ „ათინათში“, „ლექსის აკვანი“, „ლიტერატურული სახსრები“. „აფინაჟი“, ანთოლოგიებში. ბევრ ლექსზე სიმღერებიც არის შექმნილი. საქართველოში ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

გამაფრებელი სიყვარული და მონატრება მის პოეზიაში აისახა და ემიგრანტობის მძიმე უღელს უმსუბუქებს. იგი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. აქვს საკუთარი კრებული „მონატრების ცრემლი“. რამდენიმე წიგნის თანაავტორია. მისი ლექსები რეგულარულად იბეჭდება „ჟურნალ „ათინათში“, „ლექსის აკვანი“, „ლიტერატურული სახსრები“. „აფინაჟი“, ანთოლოგიებში. ბევრ ლექსზე სიმღერებიც არის შექმნილი. საქართველოში ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

მოლო სიტყვას მაინც იტყვის უფალი

საოცარი დილა იდგა თებერვლის, ჩიტების ხმა, ტყვიების ხმამ შეცვალა. მიხიარე ძმას, ძმა დაესხა საომრად და ერთ ნამში აირია ქვეყანა.

უმანკოთა სისხლით მიწა მოირწყა, და ცხედრები საცოდავად ეყარა. ომი არის თან წესების გარეშე, არ ინდობენ, ვინც გზად შემოეყარათ.

ანგელოზებს, ქალებსა და მოხუცებს, არ არჩევენ და, არიან მსხვერპლები. ვინ გაგზარდათ, სისხლისმსმელი ყორნები, ნუთუ არ გყავთ, შვილები და დედები.?!

კალმით ნახატ, ზღვისფერთვალა გოგონებს, არ ინდობენ, თავზე ისე ესხმიან, სადგეოფლოდ შეღერებულ ღამაზებს ვარდის ნაცვლად, ხელყუმბარებს ესვრიან.

ღმერთო ჩემო, დაიფარე სამყარო, ქალთა ხოცვა, რა ვაჟკაცთა წესია. დედამინა მსხვერპლთა ცოდვით კანკალებს, არ გაუსკდეს გული, ისეთ დღეშია.

ერთმორწმუნე ერი აღსდგა მახვილით, მიწის გამო, ჯოჯოხეთი გამართეს, რაც უფლისგან ნაბოძია არ ჰყოფნით მერამდენედ, ქრისტე გვარზე გააკრეს.

ძლიერი ხარ?! გემინოდეს სატანავ, შენ ხარხარებ, ხალხი არის მწუხარი. არ დაინდე, შენი სისხლი და ხორცი არ დაინდე ერი „თავისუფალი.“

სხვის მიწაზე, სხვის სახლებში შეიჭერ თავს იმართლებ აქეთ ვალს სდებ მუქართი, ბოლოს მაინც, ბოროტს დასძლევეს კეთილი! ბოლო სიტყვას იტყვის მაინც უფალი.!

ღღე საოცარი

აღმოდებულ მზეს ეფიცებოდა, აყვავებული ტყემლების ჯარი. იდგა სურნელი გაზაფხულისა, ტოტებს კი, ნახად არხედა ქარი.

დაფარვატებდა მინდვრად პეპელა, ყვითელი კაბა ემოსა ტანზე. თითქოს ცეკვავდა თავდავიწყებით, ნაკადულის და ჩიტების ხმაზე.

ატმის კვირტები სკდებიან გულზე, ვარდისფერ კაბას, იხდენდა ნუში, ცა, საოცარი გულმოდგინებით ცეცხლმოდებულ მზეს, იკრავდა გულში.

მენატრება ჩემი წა

საოცარი ხედებით ეფარება მთა ნისლებს, ჩემს მთებს ისე მახსენებს და ცრემლებით თვალს მივსებს.

მენატრება ჩემი ცა, ჩემი ტყბილი მამული. მისი მთები ამაყი ნისლებში ჩაკარგული.

მაგონდება მის კალთებს, მზე რომ დაჰვეწს დალალებს. მთის კალთებზე არწივი, როგორ შეინავარდებს.

აქაც ბევრგან მინახავს, მჩქეფარე ჩანჩქერები. აქაც ბევრგან შეგხვდება, ჯადოსნური ხედები.

შენს სურვილებს, ვერ მიკლავს თუმც, მაინც ვეფერები. შენ, ხომ სასწაული ხარ არვის არ შეედრები.

სხვის მიწას და სხვის ზეცას სხვის მთას, ზღვას და მდინარეს, მაინც ვესათუთები, შენგან გამომდინარე.

აქაც ხარობს ბუნება, მაინც სევდით დავდივარ ჩემი ქვეყნის მაჯაზე, განყვეტილი ძარღვი ვარ.


საქართველოს უბიდან აფრენილი ჩიტი ვარ, ჩემი ქვეყნის კისრიდან განყვეტილი მძივი ვარ.

ნეტავ მარტო მე ვიყო, განა ჩემს თავს ვჩივივარ, სხვაგან გაშვილებული, საქართველოს შვილი ვარ.

ალბათ ისე შევხვდებით განთიადს და დაისებს, ისევა გააპრილებს, ისევა გაიმასებს.



აზა შანავა



დაბადებული ქალაქ ზუგდიდში. ზუგდიდის მეორე საჯარო სკოლის ყოფილი მათემატიკის პედაგოგი, ერთი საკუთარი ლექსების კრებულის და რამდენიმე ტომეულის თანაავტორი. ამჟამად ემიგრანტი იტალიაში.

*** როგორ ვარ? — მოვიწყინე ძლიერ! სულს ედება შუქი ნაცრისფერი. გაზაფხულმა ვერ მოასწრო ჩემში, რომ რტოები ეყვავილა ატმის. სულში ტირის ტირიფები ჩუმად და ქარები მიწნავენ ფიქრებს, დრო კი ისე ჩქარა გარბის ჩემგან, - ვერც კი ვასწრებ, რომ ჩანაფიქრს გავსწვედე! დამელალა ამ დარდებში სული, მიულწველად დამრჩენია ბევრი... ახლა როცა მეფობს ბინდისფერი, მზის სხივები პირიზონტზე, ჩასასვლელად იწვევს - ძლიერ მინდა, რომ ჩემს სულში ყვავილობდეს ვარდი, რომ გაჩუმდეს დარდები და... ტირიფები არ ტიროდნენ ისე!

* * * ზამთარს პულსს უთვლის თებერვლის დილა. ყინვას ჩაუტყვია მზისაგან წელი. ხეზე კვირტები იჩეკებიან და მშვენიერი ვით ქაღალღები. მინდვრებს სიმშვენიე შემოპარვით, ზამთარს დაუფრთხა სიმშვიდე ყოფნის. თვალს უყუთუნებს მზის სხივი ფანჯრებს, შეჭირხლულ მინებს ცრემლებად დასდის. გაყინულ მიწას გული უთბება, გულისპირს უკრთის ლილეები იის. შემცივებული ყოჩივარდები, მაინც ამაყად ზვერავენ ბილიკს. იღვიძებს ირგვლივ ბუნება ნელა, ძარღვი უთბებათ ხეებს - დაზაფრულს. მალე ზამთარი ქუდს დაიხურავს და ვიზეიმებთ ისევა გაზაფხულს!

შორეული აჩრდილი


ყურს სწვდება შორეული აჩრდილების კაბის შრიალი და მელანდება ჰაეროვანი, ნუკრისთვალა, ქაღალღების ღამაზე მზერა. მე, დავაბიჯებ მათ ნაკვალევზე და ბილიკებზე მათ ნაფხურებს, მიყვები ნელა. დადიანების სასახლე ბალით და გონებაში, მე ვუყურებ როგორ სეირნობს, დიდრონ ხეების ჩრდილქვეშ, ყელმოღერებით, სეფექალებთან ჭავჭავაძიანთ ტურფა ასული. სევდიანი და გულწათხრობილი თვალის მზერა, სადღაც შორეულ სივრცის იქით ეძიებს შველას... გულში ხანძარი, გარდასულ დღეთა სიყვარულის მოგონებები, მომავალს,

ჩუმად ბობოქრობს, გამომწყვდეული სულის ჩარჩოში და მის თვლებში დარდი და სევდა დაფანტულა. ყმანვილქალობის წრფელ სიყვარულზე გაცვლილ

დედოფლის ტახტმა და გვირგვინმა ვერ მისცა შველა. უბეს უთბობდა მისი ლექსების მწველი სიტყვები, მისი ობოლი სული სტკიოდა, გული ეწოდა, ჩუმად ცრემლები ღვარად სდიოდა, ვერ ივინყებდა ის სატრფოს თვალს და სასახლის ჩუმ ტალანებში, მას ყველგან, ტატოს სახევა ელანდებოდა.

* * * ნუთუ, ასე უცებ, ჩაიქროლეს წლებმა! სად გექებოთ წლებო - გაფრენილი სადღაც... რომელ ქარმა გაგიტაცათ ნეტავ? რომ გავყურებ, თქვენს ნაკვალევს ფიქრში, კითხვა ერთი მიტრიალებს მხოლოდ, სიზმრად იყო, თუ ყოფილა ცხადად? ვიყურები, ხელისგულზე ჩემთვის, გადავიქვქე ღამის ქრომანტად... ეს წარსულის და მომავლის ხაზი, თითქოს გაწყდა და ერთმანეთს რახანია ასცდა... მინდა ჩავსწვდე, მე, მომავლის ქარებს... - რა იქნება?! - რას მიქადის ნეტავ?! ნუთუ მხოლოდ ნუთისოფლად ყოფნა, დღევა არის, აზვირთებულ ზღვის ტალღების დარა!

ენა ელვა



გასეირნება

ნიუ-იორკის დეპოში

ერთი თვის ჩამოსული ვარ ჩემთვის კოსმოსის ტოლფას გარემოში, ადამიანები უცხოპლანეტელები მგონია: სხვადასხვა ფერის, რელიგიის, უცნაური ჩაცმულობის ადამიანები კვეთავენ გზებს, შუქნიშანთან ჩერდებიან, მერე აინთება მწვანე, მიმლიგინობენ. ათას საოცრებას ნახავ ნიუ-იორკის მოქაქანე ქუჩებში, ეს არის ქალაქი, რომელსაც ვერასოდეს შეამჩნევდალას.

მეტრო? მეტრო ისეთია, ერთი შეხედვით საშიში, მეტალის კონსტრუქციებით, სართულებად დაანაწილებული ბაქნები, მოთხლამუნე ვერცხლისფერი გრძელი მატლუკები ბაქანზე შემოსვლისას, თუ ყურადღებით არ ხარ, ისე გააღებს კარს და ისე დახურავს, ვერ მოასწრებ შესვლას. თუმცა დადლილი რომ ხარ, შენელებული კადრი გქვია მინიმუმ სამჯერ ან ოთხჯერ.

დალა ვახსენე. ალბათ, ასეც იყო, გამიმართლა, კი შევედი ალაპლაპებულ ვაგონში, კი შევედი, მაგრამ ახლა ადგილს ვეძებ, რომ მივეფინო. გრილა თითქოს თბილისური „ჟაკეტის“ ძებნა დაიწყე მაღლიან ჩანთაში, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მეც იქ ჩავევრებოდი. „ჟაკეტმა“ იფიქრა: მანამ მთელი ჩანთა არ მოუმხია, დროზე ამოვძვრეო და ორივე მკლავით ამომიხტა, ორივეს გაგვეზარდა, ახლა ერთი ხელი კი გაუყარე მაგრამ მეორედან ჩანთა უნდა მოვიხსნა, რომ მეორეც გაუყარო, გამოვიხედე ერთი კი მარა, აშკარად ვილაცას მოვცხე ხელი, უხერხული დამემართა მოვეტრიალდი გაზეპირებული „სორი“ ვუთხარი (მეტი მაინც არაფერი ვიცოდი), სორის ვეუბნებდი და ტანში გამცრა, იმხელა ლოურენს ფიშორნი იდგა; გული შემინჯდა, ფეოლაში, იპოლიტ ხვინია ბესიკის რომ დაინახავს და იტყვის; „ეუფ“ ასე ამოვიკენე და გავკერი იმ ადგილიდან.

ცოტაც წინ გავიჩოჩე და დავინახე ადგილი, გაჩერდა კიდეც ჩემი მოამაგე ლაპლაპა დიდი მატლუნია და ორ ადამიანს შუაში გარაჟში შემავალი მანქანასავით შევეკაპოტი ნახევრად. ცოტა აზრზე რომ მოვედი. ჩემს წინ ზობ მარლი იჯდა. კანადის ფოტოლანი მაისური ეცვა შავი და წარწერა „Jamaica“ ფორევარ. თავზეც ფერადზოლიანი ქოთანით ქუდი ეხურა. წარმოსახვაში პირველი გადავიწერე. გვერდზე ერთი ჩინგაჩუკი მიჯდა და ეტყობა ძალიან ავაკაპოტე. ადგა და დადგა, კი არ დადგა აღიმართა. გულში ვფიქრობ: რამხელაა, სად გაიზარდა-მეთქი. ეტყობა შემამჩნია ამ მთა კაცზე რომ ვფიქრობდი. ეგენი ხომ შამანები არიან. ახლა რომ დამიშვას რელსებს მიმაბარებს-მეთქი. არაა, გადავრჩი.

Q თრინი, სადგურ ატლანტიკს გასცდა და აცხადებს რალაცას, მიდი და გაიგე რას ამბობს, ასე ყველა სადგურის მერე აცხადებს, მაგრამ ეს სხვანაირად გრძობდა აცხადებდა, არ მესმის და არც ვდარდობ, გამტყერებული ვზივარ, შემოლანუნებაც რომ არ გშველის ისე რომ ხარ. ცოტა მიმეძინასავით.

ყველა სადგურზე აცხადებს მონტონურად, მიდის ჩემი დანანავებელი, ამას კი ვაკონტროლებ, კი გავაჭყიტე ცალი თვალი და ვხედავ კაციშვილი არ არის ვაგონში, ტიტუუუ, ეს რა ხდება ჩემს თავს, მარტო რატომ ვარ, კი ავდექი მოვცოცხლდი და რას ვხედავ ჩემი ოთხი თვალით, დეპოში ვარ, დეპოში, რა ვქნა, რას ვეცე, ვეცი კარს ცრემლები, არც მეკითხებოდნენ მინდოდა თუ არა ტირილი, თავისით მოგორავდნენ, ხმა ჩამიწყდა, ფეხები ამიკანკალდა, თავში „ტნნ, ტნნ“ რალაც აზრივდა, უფ, კარის ფანჯრიდან ვხედავ, ჩემსკენ ხუთი სტაფილოსფერ უნიფორმიანი მეტროს პერსონალი მოდის. შეველოვ მიი, არა და საიდან მოვიდა ის სიტყვა არ ვიცი, თითქოს არ ვიცოდი, გამიღეს კარი ამ მაღლიანებმა, მომხმარნენ ჩამოსვლაში, გამომსვლელ მატარებელში შემიდევნენ და მანყნარებდნენ. ხუთივე ფერადკანია. ისეთი კეთილი და ადამიანური თვალები მას მერე კიდევ ბევრჯერ შემხვდა...

დამპყრენელი

ნიუ იორკი 2017 წლის ნოემბერი. Church Avenue. წვიმს. როგორც იქნა გამოვედი შენობიდან. ქლორის სუნი ისევე ცხვირში მიტრიალებს. მშია. მზრუნველ ჩანთაში ორი ცალი მჭავე კიტრი, ცელოფნის პანაწუნა პარკში გადახვეული მელოდება როდის გავხნი. მაგრამ არ შემეყავებოდა. იქნებ კიდევ შემომთავაზოს ჩემმა დამპყრებელმათქო და უფრო ღრმად ამოვქექე ზურგჩანთა, რომელშიც არაფერი მეგულეობდა, მაგრამ მაინც გარბოდა მშრომელი, უკვე გაშეშებული, ჩემი მარჯვენა ხელი, რომელიც ციცივით წრეზე ტრიალებდა. ამასობაში მეტრო სადგურში შემომიყვანა ჩემმა ერთგულმა მოსიარულე „ბოტასებმა“, რომელიც 8 თვე თავდაუზოგავად მემსახურა. თასმებიც არ იხსნებოდა დრო, რომ არ დამეკარგა, ჩაცმასაც რომ მიადვილებდა.

მოკლედ ასე შევბაჯეთ მე, ზურგჩანთამ და ბოტასებმა მეტრო სადგურში. აშკარად თავი აღარ მაქვს ბოტასებზეც ხვდება რომ გზას ვერ გავაგრძელებ. გაფიქრებულმა „რა ვქნამ“ შემახსენა, რომ უნდა შევჩერებულიყავი, რადგან დღეს მეტი მომივიდა მუშაობა. ხუმრობა ხომ არ არის სამი სახლის დალაგება. სადმე უნდა დავმჯდარიყავი, რომ ცოტათი მაინც შევება მეგრძნო, ...სადაღაც ხელის ფათურით მოვძებნე „მეტროკარტა“, გავუსვი რკინის კონდუქტორს და შემატარა. პირდაპირ სადგურის შიგნით მგზავრებისთვის მონყოილ სკამებზე არავინ დამხვდა. ზურგიდან იხტუნა ჩანთამ და კუთხეში მიმყუდროვდა. მე დავეშვი, დავეშვი ოთხჯერ, ხუთჯერ, რვაჯერ. „რა კარგია დაჯდომა“.

ღმერთო მაღლობა. მარიამ ღვთისმშობლის სამადლობელი ლოცვა ამოვთქვი. მეძინება, მაგრამ ვწრიალებ. მუცელი ზრიალებს. რამდენიც არ უნდა ვითმინო მშია. რა გაეწყობა მჭავე კიტრი ახლა ჩემი ქეიფია. ამოვიღე ერთი ცალი და გავკენი. რა მაჭმევს ღამის პირველ საათზე-თქვა და ისევე უკან ჩავაბრუნე. დაღლის-გან აღარც მეძინება, რომ შიმშილი ძილმა გადამატანინოს. ცოტა წინ გავიხედე ჩაბნელებული ვიტრინიდან შევამჩნიე, ვილაც მიყურებდა. გავიფიქრე - თუნდაც დამიჭირონ აქედან ფეხს არ მოვიცვლითო. ცოტა გავბრაზდი კიდევ რომ მიყურებდა. კარის ხმა გავიგე და ამ სათადარიგო ოთახიდან სიბნელიდან მომზირალი თვალების პატრონი გამოვიდა.

მომიახლოვდა. სუნთქვაშეკრული ვუყურებდი ვეებერთელა კაცს,

რომელსაც უშველებელ თვალებში უსაშველოდ დიდი თანაგრძობა ეღვრებოდა. არც შევმცდარვარ. ძალიან ფრთხილად მომიახლოვდა და დაბალი ხმით მკითხა; „მემ იუ ვონთ კოფი“? წინ რა სთქვა ვერ მივხვდი, მაგრამ კოფე კი გავიგონე. გავიფიქრე: არ უნდა იყოს ცუდი ადამიანი-მეთქი და წამოვიწიე ცოტა ზრდილობისთვის. მხარზე ხელი ოდნავ შემახო და მითხრა არ ადგეო. „აი ვილ ქამ ბეე“ (მაღე დავბრუნდები), მითხრა და გაუჩინარდა.

დაახლოებით 15 წუთში მოვიდა კეთილშობილი უადამიანესი შავკანიანი ბატონი. მომიტანა ყავა და პლედი. მითხრა: „ით იზ ნიუ“ (ეს ახალიაო) და დასამტკიცებლად იარლიყი მაჩვენა. ჩემს თვალწინ მოხსნა. მე აქ ვარ და არ შეგეშინდესო „აი ემ ჰიარ ენდ დუ ნოთ ეფრეიდ“. უკანასკნელად შევხედე თვალებში, ანუ მესამედ. მისთვის ან და ვიყავი, ან შვილი, ან ბიძაშვილი, ან უბრალოდ ვილაც, რომელიც ახლა წმინდა მოვალეობას ასრულებდა.

ცხელი ყავა მესიამოვნა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს. მჭავე კიტრი ძალიან გემრიელი იყო რძიან ყავასთან. რაჭველებთან ეტყობა მჭავე კიტრის მიტანების თემა რამესთან (ყველაზე სწრაფები მსოფლიოში) მაგარი თემა. ცოტა გამელიმა კიდევ. დალაც მომეხსნა. მშვიდობა მომეცა.

ქალაღის პარკის შრაშუნმა გამომადგინა. მეორე გამოტოვებულ სკამთან მოამაგე შავკანიანი ბატონი სახელდახელო ჰამბურგერს მიმზადებდა. რომ შემამჩინა ვუყურებდი აღარ დაახანა. ლამაზად აწყობილი ფენა ფენა ხორცის ნაჭერი და ბოსტნეული მაღისალმქრულად მიმზერდა.

ჩემდაუნებურად, გადავინიე და მანამ გამოვართმევედი, დიდ ტოტოჩა ხელზე ხელი მოვიკიდე მაღლობის ნიშნად, პარალელურად ცრემლიც გადმომიგორდა. მომიახლოვდა წელში მოიხარა და რალაც მითხრა. რაც ჩემთვის ჩინური იყო, არათუ ინგლისური. მიუხედავად ამისა, გავიგე ჩემთვის გაუგებარი სიტყვები, მითხრა, რომ იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა გრძნობ, რომ ღმერთი ერთი წამით არ მიგატოვებს...

წავიდა ჩემი მოამაგე და ხორცის ფენა სასწრაფოდ გამოვარე თავის ფოთლებთან ერთად, რასაც არ ეხებოდა ხორცი, სასწრაფოდ გადავსანსლე. რა იცოდა ადამიანმა, რომ ხორცს არ მივირთმევედი, უმადურებას ხომ საზღვრები არ აქვს.

დანაყრებულზე ისევე ჩამეძინა. მოუხერხებლად კი ვიჯექი. ან სკამზე როგორ უნდა დაიძინო, მაგრამ მაღლობა, რომ სკამი მაინც შემომეგდა დასასვენებლად. ექვსის ნახევარი სრულდებოდა.

მეორედ რომ გამეღვიძა საფუძვლიანად. ახალი მესიჯი შემოსრივალა, ჩემს შესაღებ მობილურში, რომელიც თითქმის ყოველ ხელში ალბაზე ოხრავდა „ეს ქალი რათ არ მანებებს თავს, ხომ ხედავს, რომ აღარ შემიძლიაო“. ნელანელა წამოვიშალე. მივლავდ-მოვლავდი და მოვიმართე ახალი დღისთვის. სათადარიგო ოთახისკენ ავიღე გეზი. კარზე დავაკაკუნე. ცოტა დამცხა; ნეტავ, რა უნდა ვუთხრა მაღლიანს-მეთქი.

კარი გაიღო სიბნელიდან მხოლოდ თვალები შევამჩნიე. შუქიც აინთო. „ვეით ფორ მი“ დამელოდეთო. „ოკეი“ ვუთხარი და მივდექი კუთხეში. მან სამგზავრო „მეტროკარტა“ გამოიტანა, გამომინოდა და რალაც მითხრა, რაც ვერ გავიგე, მაგრამ მისი ხმა უკიდევანოდ თბილი, სანდო და დარდიანი მომეჩვენა.

ისევე ხელი მოვუჭირე ხელზე მაღლიერების ნიშნად. გულიც

მომეცა ამ დიდ ადამიანს გადავხვევოდი, შემოვხვევოდი, მაგრამ ვერ გავაკეთე. დღემდე მიმეორდება გონებაში ეს კადრი. მე ეს უნდა მექნა, მაგრამ მტკიცედ ვი-

ტყოდი იმ დროს და ახლაც, რომ ის უთქმელობა, უენობა, რომელიც ჩვენს შორის ჩამოგდა, თავად იყო ღმერთი.

საბჭოთა კავშირის ბიერის მელიტონ ვარლამის ძე ქანთარია 102 წლისთვის და ხსოვნისადმი მიძღვნილი სპეციალური თასის ბათემაშება



მელიტონ ქანთარია მარშალ გიორგი უშკოვთან ერთად.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ოჩამჩირის მკვიდრთა კავშირი „ერთობა“-ს სპორტული მიღწევების მუზეუმი, კავშირის წევრთა შორის, ატარებს საბჭოთა კავშირის ლეგენდარული გმირის მელიტონ ქანთარიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს ნარდში.

ამ პიროვნების მიერ ბერლინში რაიხსტაგის თავზე 1945 წლის 9 მაისს გამარჯვების დროშის აღმართვის ამბავი საქვეყნოდ ცნობილია.

ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 32 მონაწილე, რომლებიც გაითამაშებენ გარდამავალ, მელიტონ ქანთარიას სახელობის სპეციალურ თასს. ტურნირი გაიმართება კავშირის ოფის-მუზეუმის შენობაში 2022 წლის 9 მაისს, თბილისში, თამარაშვილის ქ. 15-ში.


მონაწილეთა შორის იქნებიან აფხაზეთიდან და ცხინვალ-იდან დევნილები, რომლებიც ამჟამად ბინადრობენ თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. შეჯიბრება დაიწყება 9 მაისს, დღის 12 საათზე. ტურნირის დაწყების წინ პრესისა და გამოსაცემი ნიგნისათვის გადაიღება საერთო ფოტო, როგორც მონაწილეთა, აგრეთვე მონეული სტუმრებისა. წესის შესაბამისად ტურნირის დაწყებამდე ჩატარდება მონაწილეთა კენჭისყრა.

ტურნირში მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: თენგიზ ნორაკიძე, ლორენცო შარანგია, ვლადიმერ ბარქაია („დინამო“ თბილისი), რევაზ ძიძუაშვილი („დინამო“ თბილისი), ზორბეგ ებრაღიძე („დინამო“ თბილისი), ნოდარ ლეჟავა („დინამო“ თბილისი), ვლადიმერ უბირია, თამაზ ჩიქოპავა, თემურ ჩიქოპავა, იურა დონია, ომარ ყვანია, გივი ჩხეტია, რეზო ჩხეტია, ომარ ძიპაშვილი, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, ნოდარ კემულარია, დილარ კემულარია, დავით ძალამიძე, ლევან ლავგილაძე, გივი ემუხვარი, თამაზ ჩხვირკია, კაჯა მინჯია, ბესო კონოლაძე, ოთარ ნურნუშია, ელდარ აბლოთია, ვახტანგ გოგუა, ზური ჯვანაძე, რეზო არახანია, თამაზ კალანდია, ჭიჭიკო რუხაია, ემზარ თუნგია, ბესო ძიძიგური, იგორ ახოპაძე, ჭიჭიკო ბარამია, ვარლამ ჩოჩუა, ანზორ გერგედავა, გიგლა მხვიტი, ტურნირის მთავარი მსაჯეა სპორტის ოსტატი თენგიზ ნორაკიძე.

ოჩამჩირის კავშირი „ერთობა“, თბილისი.



ტურნირის მონაწილენი



ანა ვაშაძე-ბერძენილი

ფ ე ლ ა

სანამ დედა მყავს არ დაგვებრდე-ბი.

/ძველი სიმღერიდან/.

დე-და. ორი ბგერა და მთელი სამყარო.

დედა - ფარი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის.

დედა- უძლიერესი სალი კლდე და ამავე დროს სუსტი, ნაზი ია.

დედა- მუდამ შვილებზე მლოცველი მთელი სიცოცხლის მანძილზე და მერე ზეციური სამყაროდან შვილებისთვის გზის გამნათებელი.

ახალ ვერაფერს ვიტყვი, ჩემს დედას გაგაცნობთ, რუსუდანს., მუდამ საქმიანს, მუდამ მზრუნველს, მუდამ სტუმართმოყვარეს.

დედის მახსოვრობა ჩამრჩა სულ პატარაობიდან. თელავის ძაფსახვევ ფაბრიკაში მუშაობდა და მე ხელში აყვანილი დილის ბინდბუნდში მიყვავდი ფაბრიკის ბაგაბაღში.



ყვარელში ახალი სახლის მშენებლობაზე დედა მამასთან ერთად იდგა და მშენებლებს ეხმარებოდა. ოჯახი ნელში გაიმართა და საუკეთესო ვენახი და ბოსტანი ჰქონდა, თან მთელი ცხოვრების მანძილზე მთავარ ბუნებრივად მუშაობდა. ყველაფერს ასწრებდა. ძროხა, ღორი, ქათამი, იხვი, კრუხი და წინილები, ფუტკარი ჩვენი ეზოს განუყოფელი ნაწილი იყო. ახლა ამდენი აღარ შეუძლია, მაგრამ ყოველწლიურად ერთ-ორ ღორს მანძილზე ზრდის ჩემი ძმის დახმარებ-

ბით, ქათამი, კრუხი და წინილა ისევე ჰყავს. ეზოში ბოსტანი ადრინდელი ვეღარ, მაგრამ მაინც მოვლილი აქვს. მწვანელი მთელი წლის მანძილზე აქვს დასათბურებული. ბაღის ღობეზე, რკინის ბადეზე ადრე გაზაფხულიდან ზარდა და სარის ლობია გაფოთილი. ბოსტანს შუაზე ჰყოფს ვაზის ვინრო ხეივანი ლამაზი ბილიკით, რომლის გვერდებზე უთესია მწვანელი. ვაზის ძირში უთესია გოგრა, რომელიც ხეივნის რკინის კონსტრუქციაზე აქვს მიმაგრებული. დაბლა ყურძნის მტყენებია, მაღლა უშველებელი გოგრები. ზოგჯერ ტოტი ჩამოიპარება და დაბლა მოისხავს ნაყოფს, მაგრამ დედა ქვემოდან ბადით ამაგრებს გოგრის სიმძიმეს. ბილიკს მიუყვება ვარდები და ქრიზანთემები, ხეივნის ბოლოს კი საქათმე და საღორეა მობეტონებულ მოკრიალებული.

ბოსტანში მუდამ უხვად ჰქონდა კიტრი, პამიდორი, ლობიო, ხახვი, ნიორი, ქარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ბატი-ბუტის ნითელყვითელი და მჭადისთვის თეთრი სიმინდი. გონივით მარტო თვითონ მოიხმარა? მეზობელს, ნაცნობებს დაუკრეფავს და გაატანს უშურველად.

დედას არ უყვარს ასაკის კითხვა, პასუხს ყოველთვის თავს არიდებს. სიკვდილზე საერთოდ არ ლაპარაკობს. დღემდე განიცდის დაბადების მონმობაში ორი წლით მეტი ასაკი მიწერიაო. ერთხელ დაიჩვილა საფლაკის ქვაზე დიდი ასაკი მწერება და არ მინდაო. ჩემმა შვილმა დაამშვიდა, სულ არ დავანერთ ასაკსო.

დედის დაბადების დღეს თბილისში აღენიშნავთ ხოლმე. ზოგჯერ თავისი გოჭით და ქათმით მოდის, ჩვენც ვამატებთ და ქეიფობენ შვილიშვილის მეგობრები, თან ბებოს ადღებდნენ და აქებენ. ერთხელ ჩემს მეგობრებთან ერთად ვიდლესასწაულეთ მისი დაბადების დღე. საჩუქრები და ქება არ მოაკლეს დედას. ოო, ქება ძალიან უყვარს. მისნაირი მოვლილი მეურნეობა და ბოსტანი არავის აქვს. ეს სიტყვები მთელი წელი მესმის. ახლა 90 წლის რომ გახდებოდა, დიდ დაბადების დღეს გადავუხდით შვილები, შვილიშვილები და ჩემი შვილიშვილები. რას გაიხარებს.

მთელი ცხოვრება თვითონ არის ოჯახის დიასახლისი და ახლაც არ თმობს პოზიციებს, ყველა საქმის გადაწყვეტას თვითონ ცდილობს,

მისი სურვილის გარეშე ნივთსაც ვერ შევუცვლით ადგილს. უფრთხილდება ყველაფერს, მეტლახი არ გაიკანროს, ერთჯერად დიდ ჭურჭელს არ გადააგდებს, გადაჭრის და ქათამს წყალს ჩაუხსამს ან ყველილს ჩარგავს, ან შეინახავს და მერე იმით ღვინოს გააჩუქებს.

შემოდგომაზე ყურძნის წვენს მოაბადებებს, ქილებში მოხუფავს და გვირეკავს. ჩამოიტანეთ ასხმული ლებანი, მეგობრებიც წამოიყვანეთ, თათარა გავაკეთოთო. გასულ წელს მეგობართან ერთად წავედით, მაგრამ თავიდან გაგვებუტა, რატომ დაიგვიანეთო. მისი სიტყვისამებრ უნდა მოხდეს ყველაფერი, ეხლა რაღას მოასწრებთო., მერე თვითონ ცდილობდა 40 ლიტრიანი ქვების მორევას. გული ერჩის, მაგრამ ღონე აღარ მოსდევს.

ჩვენს მიტანილზე წუხს, რამდენ ფულს ხარჯავთ, მე მალაზიში იშვიათად დავდივარო. რისთვის წავა, მარაგი მუდამ აქვს. უყვარს ნაყინი, რბილი კანფეტები, რომელსაც ყოველ მისულაზე მიეუტანთ ხოლმე. გაყინულ პროდუქტებს და ძხვეწულს ახლოს არ ეკარება. მხოლოდ ნატურალური პროდუქტი ურჩევს.

დედასთან ორი დღით მისულს შენიშვნებს არ გვაკლებს. ჩემს შვილს და შვილიშვილს რა აცვია, რას ჭამენ, სად დადიან, ყველაფერი აინტერესებს. ისევე დრო ჰგონია „ვერემის“ დანყებად ყველა ბავშვი ლოგინში რომ იწვია და ყველა უფროსი ქვეყნის ახალ ამბებს ეცნობოდა. წუხს ყველაფერზე, ზღვაში ღრმად არ შევიდნენ, მზეზე დიდხანს არ იყვნენ, ვინ გაიგონა დღეში 3-4 ჯერ ტანსაცმლის გამოცვლა. ჩემი შვილი იქაურ დაქალთან წავა და დედაჩემი გზას გაჰყურებს გაბრაზებული - რა დროს დაქალბია, მანქანაც რომ წაუღია, ნეტავ მშვიდობით მოვიდოდეს.

ჩვენ და ჩვენს მეგობრებს თავის ბოსტანს და მეურნეობას გვათვალიერებინებს, თან გვიყვება ვის რამდენი ბადრიჯანი დაუკრიფა და „ასიამოვნა“ (ეს მისი საყვარელი სიტყვაა), ვინ მწვანელით, კვერცხით, ხილით მოიკითხა. ახლაც მთელი დღე ფხალს არჩევდა, გარეცხა და ისე გამომატანა, მეზობლებს, მეგობრებს მიეცით. სხვა ბოსტნულიც არ დავინყებია შესანელებელ მწვანილთან ერთად.

თბილისისკენ დაბრუნებისას. დედა მანქანას გაგვიყვებს, ჩვენს მეგობრებსაც გამოატანს,

როცა რისი სეზონია; ფხალეული, ბოსტნეული, ხილი, სანებელი, მურაბები, ჩირი და ჩურჩხელები, ღვინო. იმ შენახული ერთჯერადი ჭურჭლით, ოღონდ სიტყვას დაგვანევს, რომ ჭურჭელი დაგვებრუნეთ. არ დააინყდება წლების შემდეგაც ჩვენთვის გამოტანებული ქვები თუ თასი. იმდენ რამეს ჩაგვილაგებს, რომ ძლივს ვსხდებით მანქანაში, ცალკეა მეგობრებისთვის ნობათი. ვემშვიდობებით, უხარია ქება და მადლობები. გზას დაგვილოცავს, პირჯვარს გადაგვწერს, უფალს კეთილად მგზავრობას შესთხოვს. ორ საათში დარეკვას ვერ დავასწრებთ, მოგვიკითხავს როგორ ვიმგზავრეთ, თან გვისაყვედურებს რამდენი რამ დავტოვეთ და არ წამოვიღეთ.

აი ასეთია დედაჩემი, ჩემთვის დედის ეტალონი. ვცდილობ ხშირად მოვიინახულო და ცხოვრების ბოლო წლები გავუღამაზო. დამშვიდობებისას კი უფალს ვთხოვ ისევე ცოცხალს შემახვედროს.

სიყვარული ქართულად

ქართული გენი, ქართული გონიერება მართლაც განსაკუთრებულია. ამის დასამტკიცებლად მარტო სამი ანბანი იკმარება და აქ შევჩერდები...



ამაღლებულია ქართველი სიყვარულში, სასტიკია ქართველი სიძულვილში, ოდითგანვე ასე მოვიდოდით, საუკუნეების მანძილზე. მოლაღატის, გამცემის და ბოროტი შინაური მტრის ავი საქმეებიც ბევრი გვინახავს, მაგრამ მაინც სიკეთე, სიყვარული ჭარბობდა, რამაც აქამდე მოგვიყვანა. მე იმ გადარჩენილი კარგის, მისაბაძის წარმოჩენა მინდა.

სიყვარულზე რას დავწერ განსაკუთრებულს, მაგრამ მაინც, ალბათ დამეთანხმებით, რომ სიყვარული შობს მონატრებას,

მოფერების, ახლოს ყოფნის, ხშირად ნახვის სურვილს.

სიყვარულის გამოხატვის უამრავი საშუალება არსებობს.

ქართულ ოჯახებში შეიძლება ახლაც მოიპოვებოდეს დიდი ბებიების შეკერილი ჭრელი საბნები. სხვადასხვა ქსოვილის, სხვადასხვა ფორმის და ზომის დეტალებით აწყობილი. წლების მანძილზე მეგონა, რომ გაჭირვებული ოჯახის დიასახლისის გონივრული მოფიქრების ნაყოფი იყო. თურმე რა მწარედ ვცდებოდი.

მე არ ვიცი თუ სხვა ქვეყნის დიასახლისებზე კერავდნენ ჭრელ საბნებს, არც ძველ ფილმებში მინახავს, მაგრამ ოთარაანთ ქვრის ფერადი საბანი ბევრს გვემახსოვრება.

ჩემს ბავშვობაში კახეთში ბევრ ოჯახში მინახავს ასეთი ნაჭრებით შეკერილი საბანი, მუთაქა, ბალიში, კადასაფარებელი.

წლების შემდეგ მივხვდი, რატომ ეკრებოდა, ალბათ ზოგჯერ ეკონომიური მხარეც იყო ძირითადი მიზეზი, მაგრამ... გარდა სილამაზისა მთავარი დედაზრი არის სიყვარული, მონატრება, მოფერების, ახლოს ყოფნის სურვილი. ხელსაქმში განაფული ქართველი ქალები აგროვებდნენ კერვის დროს დარჩენილ ნაჭრებს. დეტალები იყო დაჭრილი მაგალითად, დედის კაბიდან, დის ბოლოკაბიდან, შვილის პირველი კაბიდან თუ თავსაფრიდან, ლამაზი ფარდის ნარჩენი, პირველ პაემანზე ჩაცმული კაბის ნაჭერი, შვილის დაბადების, ნათლობის, ქორწილის და ათასი სხვა მოსაგონარი. ამ ნაჭრების ერთობლიობა ქმნიდა მოგონებათა საგანძურს.

ჭრელი საბანი თუ ეფარა დედას, შვილის მონატრებას ადვილად უძლებდა, რადგან მისი ნაქონი ტანსაცმლის ნაჭერს ეფერებოდა ხელით. გარდაცვლილი მეუღლის მოსაგონარი ნაჭერიც გულზე ეფარა და ტკვილს უმსუბუქებდა.

მოგონებათა საგანძური ახლობლის ქორწილს, დედამიშვილის, მშობლების რაიმე ღირსშესანიშნავ დღეს ახსენებდა. სიყვარული, სითბო აღარ აკლდა, მონატრებით არ იტანჯებოდა და დეპრესიაც არ ემართებოდა. ეს ყველაფერი კი სიყვარულით სავსე გულით და მაღალი ინტელექტის მქონე გონებით იყო მოფიქრებული და ესთეტიურად მაღალ დონეზე შესრულებული.

სიყვარული გადაგვარჩენს.



გიორგი ქაქაძე

(ქართველი მთიელი), 9 წლის.

გიორგი კახეთში ცხოვრობს. იგი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქედის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეა. უყვარს წერა და ცხოვრებას შემოქმედებითად უყურებს და აღიქვამს. მისი შემოქმედებით უკვე დაინტერესდნენ ყურნალგაზეთები. ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ საქაშნიკოდ მცირე მოცულობის ჩანახატს. შეფასება მკითხველთათვის მიგვინდია.

ჩემპიონი ქათამი

ერთ ფერმარში ერთი ქათამი ძალიან განსხვავებული იყო და მას სხვა დანარჩენებმა მეტიჩარა შეარქვეს. მეტიჩარა რამდენიმე საათი გაუჩინარდებოდა ხოლმე და შემდეგ გამოჩნდებოდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. დაინტერესდნენ დანარჩენები და ჰკითხეს: მეტიჩარა სად დადიხარ,

რას გვიმალავო.ჩემო კარგებო, ცოტაც მოიცადეთ და ყველაფერს გაიგებთო.


და აი, ეს დღეც დადგა, მეტიჩარამ ყველანი შეკრიბა: აბა, მეგობრებო, ჩემი გაუჩინარების საიდუმლო უნდა გითხრაო.

მეტიჩარამ ხელში კვერცხი აიღო და თამაში დაიწყო. გასაოცარი რამე იყო როგორ კენწლავდა კვერცხს, ხან ერთ ფრთაზე გადაიგორებდა, ხან მეორე ფრთაზე, ხანაც თავზე საოცარ მოძრაობებს აკეთებდა. იციო? რა

ლამაზი სანახავი იყო, აქეთ იქედან შეძახილები იყო: ყოჩად მეტიჩარა, ყოჩად, ჩემპიონი ხარ. მეტიჩარა არ ჩერდებოდა და კვერცხს ხან გულზე იგორებდა, ხან მხრებზე, ხან თავზე იჩერებდა, გაოგნებულმა ქათამებმა ხეწნა დაუნყეს გვასწავლეო.

დათანხმდა მეტიჩარა და იმ დღის შემდეგ ყოველდღე ამეცადინებდა მეგობრებს. შემდეგ ყველანი ერთად თამაშობდნენ და მხიარულად ატარებდნენ დროს.

ლიტერატურული გვერდი - ერთი ლექსის ბაელები



მარი კოლსი

კოლხი ვარ, სამარგალოდან

ხან მთას ვენვევი, ხან ბარსა, ხან ტბა-კლდე-ჭიუხ-მდინარეს, ვეტრფი და ვხარობ ბუნებით, მიყვარს მღვიძარს თუ მდინარეს.

ჩემი სამშობლო ლამაზი, კუთხე, მხარე რამ გამიყო, კოლხი ვარ, სამარგალოდან, მინდა მთელი ხმით გავყვირო.

გველეთის ჩანჩქერს ქაფქაფას, ტბას ფარავნისას, მონატულს, მისტიურ ნისლეში გამაჩვევს, ოქროს სხივებით გათანგულს.

ყანა პურისა მღელვარე, სულის ლაბირინთს შეეხო, რა ლამაზია, უფალო... ჩემი ცა ლურჯი, უძირო.

რაჭა, მისი ტბა შაორის, ნიკორწმინდა და ცხრაჯვარი, რომელ კუთხესაც მივადექ, ჩემი სამოთხეც იქ არის.

სვანეთი? მთების მისტიკა, ამქვეყნიური ზღაპარი, თამარის კოშკზე ასული შხარას მშვენიერს შევხარი.

ჩემი სამშობლო ლამაზი, კუთხე, მხარე რამ გამიყო, კოლხი ვარ, სამარგალოდან, მინდა მთელი ხმით გავყვირო!



მაია გამცხეაშვილი

მეც მინდა ასეთი სიკვდილი, სამშობლოვ, მკერდით რომ გეფარო

არ ვიცი, დრო როდის გაცუდდა, რუხია ყოველი ღიმილი მეც მინდა სამშობლოს სიცოცხლე, კვლავ მესმის მე მისი კვილი...


უძღები მტერია სახლგლეზე, ქარია გრიგალის ყვილი, მესროლეთ! თუ უნდა მომიკვდეს, სამშობლო სიცოცხლის ღიმილი..

თენდება ცრემლები არ შრება, არ ქრება გოდება კვილი, სიცოცხლე ასე თუ გაქრება, გაფრინდეს გაფრინდეს ჩიტვით..

ანგელოზს უჭირავს კბილებით, გაისმის ბავშვების ტირილი, მესროლეთ მეც უნდა მოგიკვდე, დედა ვარ, არ მინდა ტირილი..

ჩემი მთა ამ მთების შვილი ვარ, ჩემი ზღვა, ზღვაც არის ღიმილი, ცაში რომ ვარსკვლავთა ჯარი დგას, ესაა სიცოცხლის ყვილი..

დამტოვეთ! ეს მინა ჩემია, ნახატი ფირფი, მზის სხივით, მეც მინდა სამშობლოვ მოგიკვდე, მელიროსს გმირული სიკვდილი.



თამარ ანდრიაძე

მენდე

ჩამკიდე ხელი, დახუჭე თვალი და მე ნაგიყვან ძალიან შორს, იქ, სადაც დღეა მუდამ ნათელი, სადაც ფერადი ყვავის ვარდები.

ჩამკიდე ხელი და გამომყვი, მე შენ გაგიღებ ოცნების კარს, სადაც დარაჯად დგანან ლომები და მძინვარებით იცავენ მას.

ჩამკიდე ხელი და გამომყვი, გადაგაცურებ ჩემს სევდის ზღვას, რომელიც ღელავს მთვარიან ღამეს, რა არის დაღლა არ იცის მან.

დამტოვე აქ და გაჰყვი გულს, შემოგატარებ სიცოცხლის მთას, ჩაიფიქრე და შეეხე მას... მეც მოვალ შენთან როგორც ვარ...



ზაირა ფრუშიძე

ამღერდა გული

დილამ იცვალა ფერი და, სახე დამალა მტირალი, ქუჩას უღიმის ოქროსფრად, მზე ციდან გადმოშორალი.

სულში ინათა მზის სხივმა, ამღერდა გული მდუმარი, მე შენი მასპინძელი ვარ, შენ ჩემი გულის სტუმარი.

ნიავე მეალერსება, მხრებზე მიკოცნის თმა-გიშერს, ნასვლასაც ნუ მოიჩქარებ, იცოდე, აღარ გაგიშვებ...

ასეთ დარიან ამინდში, ფიქრიც სხვა ფერი დამჩემდა, ვინ იცის, ჩემო ძვირფასო, იქნებ მოგინდეს დარჩენა....



მამუკა ოჩიაშვილი

დაჩეხილო მამულო

ასე რომ გჩეხავთ, ნეტავ რა გველის, საით გაგვიყავს დროის ტალღანი, ხორცი ხალისობს, სული ნაგვემი სწუხს და წელულზე აქვს ისევ ბალღამი.

ულმერთოების ჩამოგდა ჟამი, ღვთისმშობლის ნილხვედრს ებრძვის დემონი, სანთელი ჩაქრა, გვიქრება კვარი, ხატებსაც აღარ მოსდით მირონი.

გათითოკაცდა ერი თუ ბერი, გვიხმება ფესვი ჯიშის და მოდგმის, უცხო ტომელთა სიმღერას ვმღერით, როცა დრო გვიდგას გლოვის და მოთქმის.

რა ქართველობა, რის ქართველობა, ჩაგვძახის უცხო, - გონებას გვირეცს, ლალატი გახდა ჩვენი ხელობა, გულში ნაისრალს ვგვევართ ხარირემს.

გამოღვიძება და ერთად დგომა, დღეს გადარჩენის გზა მცირედი, სამშობლოს ყვილით, არ გვინდა შრომა, ვხედავთ უფსკრულის პირას მიველით.

აღსდექი ერო, - შეუდრეკელო, გმირო ვაჟკაცო, სახე ნათელი, ვერ აუღებო ზღუდე კედელი, გაუტყეხელი მუდამ ქართველო.

ნეტავ სადამდე, ანდა როდემდე, უნდა ვიცხოვროთ ტანჯვა-გვემამი, არის სამველი გზა გადარჩენის - ერთობაში და უფლის რწმენაში.

ბალღამიანი სული ნაგვემი, ჩამონგრეულის იწყებს შენებას. ჩუღარ იკითხავთ - ხვალ რა გველის?! გეტყვი, - გაქრობა, გადაშენება.



თამარ ნასრაშვილი

ილია ჭავჭავაძის

ერისკაცო, საფიცარო ერის, ნოდებულო: საქართველოს მამად, სიამაყე ხარ - ქართული ენის, თვით მოსული - მასზე სალოცავად.

ანთებული დაგრჩა კელაპტარი... და წიგნები, დაუსრულებელი... რა ტკივილით მოსთქვამს ბოლო ბნკარი, თუმც, პატრონად გახდომია ერი...


ლექსს მე - ვერა, სხვა დაგინერს ლექსებს, ეს - ფიცია, - ერთგულების ფიცი, ჩემი სიტყვა, მსურს, იმედად გექცეს, ძველი წყლული, კვლავ განუხებს ვიცი.

ისევ გვარობს ღომის ნაბუდარი, ისევ ფეთქავს ქართველური გული, წინაპრების ანთებული კვერი - კვლავ, ანთია, - მზით გაბრწყინებული.

„ქართველის დედა“... მესმის შეგონება... და...ართოლებს სულს, ვით, ხელი - სიმებს, შენს ერს გმირი მრავლად ეყოლება, მეც დაეზრდი მამულს რჩეულ შვილებს.

სხვაც დაუზრდის შვილებს საქართველოს, კვლავ, - იფეთქებს ცეცხლოვანი გული, ღომის ნაბუდარმა რომ იფეროს, დარჩეს კვალი, კვლავ, განათებული.

ლექსს მე-- ვერა, სხვა დაგინერს ლექსებს... ღირსეულ ლექსს სხვა დაგინერს, ვიცი... ჩემი სიტყვა, მსურს, იმედად გექცეს, ეს - ფიცია, ერთგულების ფიცი.



მანანა ლეჟავაძე

ისეთი წვიმებია გადაუღებელი, საქმე რალაც კიდევ გადაუღებელი, ემოცია? ნაკლებ ამალღებელი, მხოლოდ ფორმალობა! - დაუფერებელი.

ისეთი წვიმებია გადაუღებელი, შორი მოგონება რალაც წარუშლელი, ცამდე ასხლეტილი სულ ცრუ (!) იმედები, და გზაგასაყარზე რალაც არჩილები.

ისეთი წვიმებია გადაუღებელი. ნეტა გადაიღებს? რალაც არ მგონია. კონტექსტამოვარდნილ ნაწილას ვემსგავსები და მაინც კავშირებს ვერასგზით შეველიე.

ცხოვრება ბრძოლაა ასე გამიგია !!! რალაც წვიმებია გადაუღებელი... 2022. მარტის სუსხებია. წვიმას ვერსად ვხედავ. უფრო ქარებია.



თია ბარბაიაძე

„ვითანამშრომლო ჩემს სინდისთან - უკეთესია“

ვერაფრით ვგუობ ამ სამყაროს ჟამების ღრიალს, ნეტავ გამხადა, დედამინის - ბედის მისანი, წელში გატყეხილ თვეებიდან ეჭვები მღრღინიან, აზრი არა აქვს - ხისგან ჩორკო ადამიანი.

შეხიზნული ვარ სხვის სხეულში - ხორცის ხიზანი და ჩემი სული სხეულიდან გაქცევას ღამობს, თუ ვერ ვეტყვი უსასრულო დედამინაზე, ჩემს გულისტკივილს ალბათ ისევ ჩემს ღმერთთან ვამბობ...

თუ ჩემი ჯვარცმა ფარსევით არის მიზანი და თქვენც - თითო ქვა ხომ გაიღეთ, ესეც ბევრია, ბევრია, რადგან საკუთარი ცოდვების არსი, ვერ გააზრებულ სამსჯავროზე უარესია.

მერე ჩემს სულში შენც ღმერთივით შემოიჭრები, შემოიჭრები შენი ცით და ესეც წესია, შენი ეკუდერი ჩემი ცაა და ჩემი ჭერი, ვითანამშრომლო ჩემს სინდისთან უკეთესია...

მტვერიც არა ვარ, დრო მოვა და სადაც გავქრები... ღვთის მოვლე ვარ, რასაც ვთესავ ჩემი მხსნელია, ხელში აყვანილს დამატარებს ჩემი მფარველი, წარმოუდგენლად შემეყვარა ჩემმა მესამა.

შეხიზნული ვარ სხვის სხეულში - ხორცის ხიზანი, ვერ ვგრძნობ სამყოფელს, შემამველე ხელი მესია, თუ ჩემი ჯვარცმა ფარსევით არის მიზანი, ვითანამშრომლო ჩემს სინდისთან - უკეთესია...



თამარ პარაშვილი

რომელ მხარეს შეგადარო

... როცა მტერი უღმობელი, გადანავდა ქართლში ყოველს, მამინ მცხეთას კალატოზი, აშენებდა სვეტიცხოველს...


მტრის ჯინაზე მაყრიონი, დახვდებოდა მახარობელს, თმაჭალარა მევენახე, გაუსხლავდა ვაზებს ფოთლებს...

გეფერები ივერია, სამებას და კვირაცხოველს, თუ კი შენ არ მეყოლები, ნაუღლივარ მე ჯოჯოხეთს...

რომელ მხარეს შეგადარო, მარგალიტო, აბა რომელს?! გამუარჯოს დიდ სიყვარულს გულში იტევს ყველას, ყოველს !!!!...

ომი და მუზა

იუბილე



მურმან სურცილავა

ხაი ყივე, უკრაინა!

(ციკლიდან „ეშმაკის ბორბალი“)

„დიდება გმირებს!“ დღეს ისე უღერს ეს ორი სიტყვა, როგორც საყდარში სააღდგომო ხირვის დროს „ქრისტე აღდგა!“ ლაღადებს მოძღვარი და აპყვება სამწყსო თუ მრევლი, ასე გუგუნებს მთელი სამყაროც: „დიდება უკრაინას! გმირებს დიდება!“ გმირი ვერ გახდება ანაზღაურებად. იბადებიან, ალბათ, გმირებად. ო, უკრაინა! ვლოცულობ შენთვის. კურთხევა უძლეველ რაინდებს! მარადიული ნეტარება-სასუფეველი, ამ საღვთო ბრძოლას ვინც ეწირება... ორგული „ძმები“ ტყვიას გესურვინ. გაჭრიან მარჯვენას. დგახარ კლდესავით. მტკიცე და შეუკრული. არა მარტო შენი გულისთვის, ხარ შემართული ჩემი ჯიშის გადასარჩენად. იცავ ჩემს მთა-ველებს, მზამს, დღენიდაგ იგალობებს შენი ლესია და რუსთაველი ირუსთაველებს.

..... ო, უკრაინა! საიმედო მომედ მეგულები, ხარ გილგამეში, ცეცხლის ენების მფრქვეველ ურჩხულს შეჭიდებული, მეფე დავითი, გოლიათის დამჩოქებელი. ხარ ამირანი, ცხრათავიან დევთან მორკინალი (ძლევაი საკვირველი ჯერაც წინ არი). „ფიცადარ გამჩენს, ბავშვის ცრემლის წვეთადაც არ ღირს ქვეყნიერების დავიდარება!“ (უთქვამს ვილაცას, ვილაც ღვთისნიერს, არა ბარაბას). მამ, ცრემლის ღვარი, სისხლგარეული, რა ელირება? ვის შეუძლია ეს გამოთვალოს? ან მოაბრუნოს აღმადინება? ესმის კი ვინმეს? ესმის იმ „ძიას“, ვისაც, ყვეფილების და თოჯინების ნაცვლად, ფორჩინი კამფეტების და ნამცხვრების ნაცვლად, ცუგრუემლებთან სიკვდილით დატყენილი რუმები მიაქვს? ან საკუთარი შვილები და შვილიშვილები არ ახსენდება? შეილდალუბლმა რა ქან დედებმა? (ხმა ამოიღეთ, დალოცვილებო, რამ დაგაშინათ? თქვენ გაქეთ უფლება, დედის უფლება. ომი რომაა, დასტურ, მაშინაც!)

..... ვაი მას, ვაი იმ მეფისტოფელს, სარდაფში ცდომულს და მოხარბარეს, მარტოსული და ატირებული ყმაწვილის ცოდვა არ გაახარებს! ან კიდევ სხვათა, ან მკვდრადმოხილთა... ო, მაპატიე, უზენაესო, მისი მოშობა ისე მომინდა, როგორც არასდროს. ალბათ, უფროვე, ვიდრე მაშინ, როცა მე და ჩემს ჯალაბს გვედენდა, გვედენდა ჩვენი ეზო-კარიდან, ჩვენივე ნმინდა საკურთხევილიდან (თვალის გაახილეთ, ქალბატონო თემიდა!)

..... ო, უკრაინა! შეეყივი ყველას, ვინც გამოგონებს, მიაყურადონ შენი ქალაქებით დანგრეულ სტრიქონებს: იქნებ არ შესწევთ დიდი ძალ-ლონე, ვერ გაისვრიან, ვერ მინვებიან ავი ზრახვებით ორსულ კაცებს, ველარც ამათ ბებიასალებს, საიდუმლო ბუნაგებს თუ საეჭვო დარბაზებს, ველარც მტრის თავზე იქროლებენ, როგორც ქორები, - მაინც ვენდობი, ვილაცას მაინც მოაგონებენ, რისთვის არსებობს ამ ქვეყანაზე!

..... ეშმათა ლაშქარს უანგარიშო ალაფს მთავარი ეშმა ჰპირდება. შენ გაიმარჯვებ! შენთან არს ღმერთი - ზეცისიერი ჭეშმარიტება. მფერო, შენი გზა სიმართლის გზაა, გაბრწყინებული ქრისტეს ნათელით. შენ გაიმარჯვებ და შენთან ერთად ამ გზას იპოვის ყველა ქართველი. ქართულ ტაძრებში იღვიძებს სული. ვესმის? სიფხიზის რეკენ ზარები. ეს ხმა ვასცდება კედლებს, გუმბათებს და აუყვება ცის საფეხურებს... მოგვიხმობს ჩვენი ბიჭების სისხლი, დაღვრილი არა ვინმეს ბრძანებით, დიდება იმათ - იმ დიდ ქართველებს, შენთვის და ჩემთვის თავდადებულებს! „დიდება იმათ!“ - იმათის გული, იმეორებენ მაღლა: „დიდება!“ ვაი ჩვენ, ყველას - დაბლაყოფილებს, სხვისი კარხანი თუ დაგვჭირდება. ეს რა გიყვებს შენი პაპის-პაპის-პაპის ბადებებმა! შემოიღმა რომ მოიხილოს, ხელმოიწოდებ გაგიყვება.

უკრაინა, უკრაინა! დამაჩოქოს ურდომ გინა, გინა ქვები დამიშინონ, ჩემს მკერდში გაქვს მყურდო ბინა.

მეც შენსავით გავიარე ჯოჯოხეთი, შიმშილით. რომ შემეძლოს, შენს პატარებს ყველას ერთად ვიშვილებდი.

შოთამ ბრძანა: „მამაღმერთი არ გასწირავს თავის შვილებს“... ხაი ყივე, უკრაინა! ხაი ყივე, ხაი ყივე!

გოგონა ჩითის კაბაში

მზე ერთიანად ამოდის სოფელშიცა და ქალაქშიც, სახლიდან აღარ გამოდის გოგონა ჩითის კაბაში.

ყველას შარვალი აცვია სამსახურში თუ ბაზარში, მომნატრებია პრანჭია გოგონა ჩითის კაბაში.

რამდენჯერ უცებ შევჭრილვარ ლამაზმანების კარავში, ერთი გოგონაც ვერ ვნახე პეპლისფერ ჩითის კაბაში.

აღარც სოფელში დავეძებ, აღარც — მეზობელ დაბაში, მგონია, იქაც ვერ ვნახავ გოგონას ჩითის კაბაში.

რაც ლექსი დამინერია სულერთიანად გადავმლი, ოღონდ ერთხელაც მანახა გოგონა ჩითის კაბაში.

ქალი მინდოდა მეტხოვა

ქალი მინდოდა მეტხოვა მოდას ნაკლებად ამყოლი, შვილების მოსიყვარულე, მეუღლის ამყოლ-დამყოლი.


პაპიროსმოუნვეელი, შამპანურდაუღვეელი, უმარვლო, შეუღებავი, არც ისე შეუხვდავი.

არ შეერცხვინა ქართული მამა-პაპური მანდილი, აყალ-მაყალის გარეშე ემზადა ვახშამ-სადილი.

— მასეთ ქალს ძნელად იშოვნი, რა ცუდი ბედი გრგები, მასეთი, შვილო, მე ვარო. — მითხრა მეზობლის ბებია.

ზურაბ მამულაშვილი - 80

ზურაბ მამულაშვილს ვულოცავთ დაბადებიდან მე-80 და შემოქმედებითი მოღვაწეობიდან 55-ე წლისთავს და გთავაზობთ რამდენიმე ფრიად საინტერესო ლექსს. იუბილარს კი ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს პირადასა თუ შემოქმედებით საქმიანობაში, თავისი მამულის საკეთილდღეოდ.



ქართველ გოგონას

რითი გამოგტრეს, რომელი თარგით, რა ტან-ფეხი გაქვს, რა ნაწნამები, ან შენ არ იყო ეგეთი კარგი, ან ვერ გხედავდეს ჩემი თვალები.

ან უცებ გაქრეს მწარე ცდუნება, გაიღოს ეშხით მად გულის კარი, რის მაქნისია მარტო ყურება, თუ არ ჩამოჰკარ სიმები ქნარის.

რად გამოთენდა ნეტავი ის დღე, რისთვის დამიღვა ის დრო, ის ჟამი, დაგინახე და დამუნჯდა ენა, ვფიცავ, სიზმარში მეგონა თავი.

ნაზი ხარ ვარდის კოკორივითა, სპეტაკი, როგორც პირველი თოვლი, ამ სიტყვას ცუდად ნუ ჩამითვლი და ნეტავი ვიყო მე შენი ტოლი.

აგწევი ხელში, ვით ღვინის ტოლჩას, დაღვინებასაც არ დაგაცდიდი, ვიტყვოდი, ჩემი ცხოვრებაც მორჩა და სულ ბოლომდე ისე დაგცლიდი.

თუ სილამაზეს არ დავინახავთ, აბა, რაღა ჩვენი ცხოვრება, ამ გრძნობას გულში გადავინახავ, მთელი სიცოცხლე შემახსოვრება.

რითი გამოგტრეს, რომელი თარგით, რა ტან-ფეხი გაქვს, რა ნაწნამები, ან შენ არ იყო ეგეთი კარგი, ან ვერ გხედავდეს ჩემი თვალები

აპრილმა ჩამომიქროლა...

აპრილმა ჩამომიქროლა... დავხვდი ლექსების კიდობნით, მე, გაზაფხულით მინდოდა, შენ შემოდგომით მიხმობდი.

ისე ძალიან ცხელოდა, ქარმა მოიძრო მანდილი, გული მარტის თვეს ელოდა, თურმე ყოფილა ჩავლილი.

მაინც ვითმინე, ჯინაზე, გული სხვა რამეს ჩემობდა, მჯეროდა შენი სინაზე, აპრილებს გამოჰყვებოდა.

შემოიბრენდი ვენახებს, საოცარ ფერთა გამაში, რომ ერთხელ მაინც მეწინაზე, ლურჯ პეპლებიან კაბაში.

მაგრამ ვერსაით გიხილე, გული გასივდა დარდისგან, თუმცა, სხვას რას მოგველოდი მარტში გაცნობილ ქალისგან.

აპრილმა ჩამომიქროლა თავის ჯადოსნურ ფერებით, ვაგლახ, მე როგორც მინდოდა, ნელს ველარ მოგვეფერები.

თამარ ამირხანაშვილის მოსაგონარი ბული უძვნა მოსწავლეებს



დიდმა პედაგოგმა სუხომ-ლინსკიმ დავიტოვა ნიგნი „გულს უძვნი ბავშვებს“. ამ ნიგნიში გამოხატული იდეების ფრთაშესხმას ნახევარი საუკუნე შეაღია თამარ ამირხანაშვილმა. აქედან 35 წელი იღვანა თბილისის მე-15 სკოლაში გულითა მართლითა. ეს იყო ამირან მათითაშვილის, რომან მოსეშვილის, გულიკო ჯაშაშვილის, ქეთევან აბესაძის დირექტორობის დროს.

ანაშვილი (დღევანდელი რედაქტორი) და სხვები. ღონისძიებას „ღვინისძიება“ მოჰყვა. მწერლებსა და პედაგოგებს შორის შთამბეჭდავი დისკუსია გაიმართა.

ჩვენი თამრიკო საქმეს აკეთებდა არა მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ — გულით, გატაცებით, სიყვარულით. ასეთი თავდადებით მუშაობდა ჩვენთან მისი ანგანსვენებული მეუღლე ნოდარ ნიაზაშვილი.

დიდი შემართებით იღვწოდა ჩვენი თამრიკო მშობლიური გალავნისა და მცხეთის რაიონის სხვა სკოლებში.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ მოულოდნელად შემოაღამდა. „მკვდრად იგი თქმულა ვისაც აქ სახელი არ დარჩენია.“

თამარმა კი აქ დატოვა საამაყო სახელი, ძვირფასი შთამომავლობა, ორი სასახლო შვილი: ლევანი და ნინო ნიაზაშვილები, ერთანეთზე უკეთესი შვილიშვილები: თამარი, მარიამი, ანდრია, თამარი და ეთერი.

რაც მთავარია, — მეგობრების, კოლეგების, აღზრდილთა გულელებში წრფელი ხსოვნა-სიყვარული. ასე ვალმოხდელი ამალდა ზეცად.

კოლეგების, მეგობრების სახელით ბორის მიშველაძე, „სახალხო განათლება“ რედაქცია

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე 555 596 050 აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე 593 422 258 გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“ ს/ს 402010587 ს/ს თბილისი ბანკი: GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181; ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48; ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N3 (4602) 20 აპრილი / 2022 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან ISSN 1987-9113 9 771987 911009